# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 დეკემბერი, 2010 წელი.

№227 (6593)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge


ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




④ ⑧

ვანო მერაბიშვილი:

## რუსეთის დაზვერვის მუშაკებს ჩვენ ყოფილი ოფიცერი მივუჩინეთ

## ხელისუფლების მორიგი „მდგრადი“ ტყუილი

სავალალო პროგნოზი



②

## საშუალო პენსია 100 დოლარს კი არა, 2014 წლისთვის 100 ლარსაც ვერ მიაღწევს



## რა არის ვაჭრობის მამოძრავებელი ძალა? ⑦



## საკუთარ „წვენში მოუხარშავად“ არაფერი გამოგვივა... ②

## მშიერი ფანტაზია,
### ანუ სააკაშვილის ახალი კურსის ძველი ვარიანტი ⑥



## „ვიკილიქსი“ და საქართველო



აგვისტოს ომისა და თეთრ სახლში ობამას მოსვლის შემდეგ, ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გაცივდა. ③




## წარსული, რომელმაც მომავალი ⑤ შვა,

ანუ დიდად საჭირო და სანდო გამოცემა

## საველალო პროგნოზი

**„თავისუფალი დემოკრატების“ ეკონომიკის ექსპერტთა ჯგუფმა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დეტალურად შეისწავლა. გუშინ პარტიის ოფისში თეა წულუკიანმა ამ თემას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა. ანალიზი საკმაოდ საგანგაშოა.**

მთავრობამ არაერთხელ გაახმიანა, რომ „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკას დაადგა, თუმცა რეალურად ახალი ბიუჯეტის 60 პროცენტამდე მაინც საჯარო მოხელეთა სიკეთეებისთვის არის გამიზნული. 2011 წლის ბიუჯეტი 93 მილიონი ლარით კი მცირდება, მაგრამ ამ პირობებში 75 მილიონი ლარით იზრდება შრომის ანაზღაურება, ხოლო ე. წ. „სხვა ხარჯები“, რომელსაც მიმართულება არა აქვს, გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების ხარჯთა ნაზავია, ასევე 127 მილიონით გაიზრდება. ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისას განაცხადა, რომ ბიუჯეტის პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და განათლება იქნებოდა. თუმცა „თავისუფალი დემოკრატების“ ანალიზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **„ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი კატასტროფულია. ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, ჯანდაცვაში ყველაფერი კარგად იქნებაო, არსებული ბიუჯეტის პირობებში შედეგად მივიღეთ რეფერალური დახმარების 9,6 მილიონით შემცირება. მთლიანად ჯანდაცვის პროგრამები 32 მილიონი ლარით არის შემცირებული, ხოლო სოციალური დახმარების პროგრამები — 12 მილიონი ლარით, მათ შორის, ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა — 8 მილიონი ლარით“.**

# ხელისუფლების მორიგი „მდგრადი“ ტყუილი

**საშუალო პენსია 100 დოლარს კი არა, 2014 წლისთვის 100 ლარსაც ვერ მიაღწევს**

თეა წულუკიანის განცხადებით, ჯანმრთელობის სამინისტროს განსაკარგავი სახსრები შემცირებულია 5 მილიონი ლარით, ხოლო განათლების სამინისტროს სისტემისა – 2 მილიონი ლარით. საგულისხმოა ისიც, რომ ახალი ბიუჯეტის მიხედვით საგრძნობლად, 2,5 მილიონი ლარით, მცირდება საპატრიარქოსთვის განკუთვნილი მთლიანი გრანტები, სასულიერო განათლებისა და ხელშეწყობისთვის განკუთვნილი გრანტი 2.9 მილიონი ლარით შემცირდება.



„თავისუფალი დემოკრატებისთვის“ არარეალურია ხელისუფლების გათვლები, რომელთა მიხედვითაც საშემოსავლო გადასახადი 236 მილიონი ლარით უნდა გაიზარდოს, რადგანაც წარმოუდგენელია საქართველოს ეკონომიკის პირობებში ერთ წელიწადში 1.2 მილიარდი ლარით გაიზარდოს შრომის ანაზღაურება. მათივე გათვლებით საგადასახადო შემოსავლები 748 მილიონი ლარით იზრდება. აქედან 430 მილიონი ლარი არის დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადი, ანუ საქართველოს მოსახლეობის გადასახადი. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავლის ზრდის 57 პროცენტი ჩვენი მოსახლეობის გადასახდელია.

**მოსალოდნელი სოციალური კოლაფსის მომასწავებელია ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროგნოზები, რომლებიც ბიუჯეტს ერთვიან, — ამბობენ თავისუფალი დემოკრატები, — კერძოდ, ხელისუფლების პროგნოზების მიხედვით საშუალო პენსია 2014 წელსაც კი ვერ მიაღწევს თუნდაც 100 ლარს, ნაცვლად პრეზიდენტის მიერ 2009 წლისთვის დაპირებული 100 დოლარისა. რადგან 2014 წლისათვის საპენსიო ხარჯების ზრდა 20 პროცენტით, ანუ დაახლოებით 16 ლარით არის დაგეგმილი, მაგრამ თუ ინფლაციას გავითვალისწინებთ, ამ დროისთვის პენსიის მსყიდველობითი უნარიანობა სულ მცირე 30 პროცენტით შემცირდება. იმავე პროგნოზებით, მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯები 2014 წლისთვის 20 მილიონი ლარით გაიზრდება, ანუ სოციალურად დაუცველ 2 მილიონ ადამიანზე დახმარება 10 დოლარით იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეში ამ ადამიანებმა 3 თეთრიც კი ვერ უნდა დახარჯონ.**

საველალოდ გამოიყურება მოსახლეობისთვის დაპირებული სამედიცინო დაზღვევის პოლისებით მასობრივი უზრუნველყოფის საკითხიც. 2014 წლისათვის ამ მიზნით მხოლოდ 124 მილიონი ლარი დაიხარჯება. არადა, სულ მცირე 300 მილიონი ლარი უნდა დაიხარჯოს, რათა დაპირება შეასრულონ. მეტიც, 2014 წლისთვის 30 მილიონი ლარით შემცირდება ისედაც მწირი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯები, რაც პირველადი ჯანდაცვის სისტემის სრულ მოშლას ნიშნავს. ხელისუფლების „მდგრადი ტყუილის“ ფარგლებში მოექცა ყველა ის დაპირება, რის გამოც ნაციონალების სასარგებლოდ გაკეთდა საზოგადოების არჩევანი ბოლო ყველა დონის არჩევნებზე.

ასე რომ, გაძვირებულ ტრანსპორტსა და წყლის გადასახადს შესაძლოა, შუქისა და გაზის გაძვირებაც მოჰყვეს, ამ ყველაფერს კი უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაუქმებაც დაერთოს.

ბიუჯეტთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი **ირაკლი ალასანიამაც** გამართა, მას შემდეგ, რაც შიდა ქართლის დაზარალებული სოფლები მოინახულა. მან უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის მისამართით გააკეთა განცხადება და მოუწოდა: „ვინაიდან მომავალი წლის ბიუჯეტში არსად არ არის აღნიშნული კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა დახმარება, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილება სარეზერვო ფონდებიდან 15 მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ. ეს თანხა კონფლიქტის ზონის 80-ზე მეტ სოფელში მცხოვრებ 38 ათას კომლს დაეხმარება ზამთრის გადატანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს დაემატება სააკაშვილის ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის გამო დაცლილი და დაკარგული ქართული სოფლები“.

**საქართველოს მართლაც უმძიმესი სოციალური ზამთარი წინ აქვს. ჯერჯერობით ხალხის უკმაყოფილება მხოლოდ კანტიკუნტად ისმის. ხელისუფლება პასუხისმგებლობას იცილებს და ამბობს, რომ ფასების აწევას ქვეყნის ეკონომიკის იმპორტზე დამოკიდებულება იწვევს, თუმცა ავიწყდებათ, რომ ლარი მყარდება, ამდენად სხვაობა არც ისეთი მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რაც საქონლის ასეთ გაძვირებას გამოიწვევდა... ბუნებრივია, საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს ამისი არ სჯერა, მაგრამ არც პროტესტის ხმა ისმის...**

თეა მოსია

## აქტუალური ინტერვიუ

# საკუთარ „წვენში მოუხარშავად“ არაფერი გამოგვივა...

**ეუთოს ასტანის სამიტის უშედეგობის მიზეზებსა და საერთაშორისო ასპარეზზე სამიტის შემდეგ შექმნილ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო საკითხების ექსპერტს, საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**



**— ბატონო ირაკლი, ეუთოს ასტანის სამიტმა რუსეთის პოზიციის გამო ვერ შეძლო კონფლიქტებთან დაკავშირებით ნათელი, კონკრეტული დეკლარაციის მიღება და „მემორიალური დეკლარაციით“ შემოიფარგლა. სამიტზე რუსული დელეგაციის დემარშმა აშკარად დაძაბა ვითარება როგორც ასტანაში, ისე მთლიანად ეუთოში.**

**ეუთოს გენმდივანმა მარკ პერენ ბრიშამბომ სამიტის შეფასებისას განაცხადა — „ეუთო არის სარკე, რომელშიც უსაფრთხოების საკითხები კარგად აირეკლება. რასაც სარკეში ვხედავ, ძალიან მაშფოთებს“. რა აირეკლა „ეუთოს სამიტის სარკეში“ და თქვენი აზრით რა აშფოთებს ეუთოს გენმდივანს?**

— ასტანის სამიტი არ იყო რიგითი და ჩვეულებრივი სამიტი. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო პირველი სამიტი 1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტის შემდეგ. მას შემდეგ იყო არაერთი მცდელობა, უმაღლესი დონის შეხვედრა შემდგარიყო ეუთოს ფარგლებში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. მოხერხდა მხოლოდ წელს, ყაზახეთის თავმჯდომარეობისას. ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ყაზახეთის ხელმძღვანელობამ მართლაც დიდი სამუშაო გასწია, რათა სამიტი შემდგარიყო.

ეს სამიტი, გარკვეულწილად, საიუბილეოც გახლდათ. 35 წელი შესრულდა ე.წ. ჰელსინკის პროცესის დაწყებიდან. ეუთო მაშინ თათბირის სახით მოევლინა საერთაშორისო არენას და თავისი როლის შესრულება დაიწყო.

იყო იმედი იმისა, რომ ასტანის შეკრებას, გარდა მემორიალური მნიშვნელობისა, პრაქტიკული შედეგებიც ექნებოდა. ის, რომ ამგვარი შედეგების მიღწევა ვერ მოხერხდა, გახლავთ ის უსიამოვნო ანარეკლი სარკეში, რომელიც ბატონმა ბრიშამბომ შენიშნა და, რომლის დანახვა სიამოვნებას ვერ მიანიჭებს ვერც ერთ ნორმალურად მოაზროვნე ანალიტიკოსს, პოლიტიკოსს და რიგით მოქალაქეს. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად ყველა მცდელობისა, ასტანაში ეუთოს სრული ძალით რეანიმირება ვერ მოხერხდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

**— ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, ის რომ ასტანის ეუთოს სამიტმა მხოლოდ ზოგადი და პრაქტიკულად არაფრისმთქმელი დეკლარაცია მიიღო, შესაძლოა კარგიც იყოს, ვინაიდან შექმნილი ვითარება დემოკრატიულ ქვეყნებს რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი დიპლომატიური ფრონტის შექმნას შეუწყობს ხელს, რომელიც რუსეთს უფიქსირებს, რომ ზღვრის გადალახვა არ შეიძლება... რამდენად საფუძვლიანია ამგვარი მტკიცება?**

— ასტანის სამიტს შემაჯამებელი დოკუმენტი არ მიუღია. მიიღო დეკლარაცია სათაურით – „მემორიალური“, ანუ სამახსოვრო. მასში მიმოხილულია სწორედ 35 წლის განმავლობაში დაწყებული სამუშაო და ობიექტურად არის შეფასებული ის მეტად სერიოზული ძალისხმევა, რომელიც ამ ორგანიზაციამ თავის დროზე გასწია ეუთოს სივრცეში, რომელიც პრაქტიკულად ევროატლანტიკურ სივრცესაც მოიცავს. მიღებული დეკლარაცია წარმატებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ვერ მოხერდა დასმული ამოცანის გადაწყვეტა.

რაც შეეხება რუსეთის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას, ეს სრულიად ბუნებრივი გახლდათ, რუსეთის კრიტიკა საკმარისად წარმომადგენლობით არენაზე გაისმა, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან რუსეთისადმი მხოლოდ უკმაყოფილების გამოხატვას, სამწუხაროდ, ასტანის სამიტი ვერ გასცდა. ასტანაში მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. სხვაგვარ შედეგს ცოტა თუ ელოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეუთოში გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება, რუსეთს აქვს ვეტოს დადების უფლება და იმ შემთხვევაში იყენებს, როცა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას თავის საწინააღმდეგოდ ჩათვლის. ეს ბატონ ლავროვს არც დაუმალავს. მან სამიტის პირველი დღის შემდეგ პრესასთან განაცხადა, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით დეკლარაციაში არსებული პოზიცია რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გაავრცელა საქართველოსთან დაკავშირებით ანალოგიური შინაარსის განცხადება. ამ განცხადებებით სრულიად ნათლად ჩანს, რისი მიღწევა სურდა რუსეთს და რატომ ჩაიდინა რუსეთის დელეგაციამ ასტანაში ის, რაც ჩაიდინა.

**— ალბათ შემთხვევითი არ იყო სამიტის დაწყებამდე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მიერ ასტანის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში გაკეთებული განცხადება, რომლის არსი დაახლოებით ასეთი იყო: გაუგებარია, რატომ წევრიანდებიან იმ ორგანიზაციაში ქვეყნები, რომლებიც ამ ორგანიზაციის მიზნებს არ იზიარებენ და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას არ აპირებენ...**

**ყველა იმ წინააღმდეგობის გათვალისწინებით, რაც რუსეთს ეუთოსთან აქვს, თქვენი აზრით, რა სურათი იკვეთება საერთაშორისო ასპარეზზე ასტანის სამიტის შემდეგ?**

— ასტანის სამიტს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის რაიმე სიურპრიზი არ შეუთავაზებია, უბრალოდ, კიდევ ერთხელ დაადასტურა არასასიამოვნო რეალობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში დღეისთვის ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაში უსიამოვნო განცდის მიზეზი მხოლოდ რუსეთი არ არის, სხვა მიზეზებიც ბევრი გვაქვს, მაგრამ როგორც საქართველოს მოქალაქეს ქართულ-რუსული ურთიერთობების თემა მაინტერესებს.

რუსეთი დიდი ხანია უტევს ეუთოს. 1999 წლის შემდეგ რუსეთს ეუთოს არც ერთ წლიურ შემაჯამებელ დოკუმენტზე, იქნებოდა ეს საგარეო საქმეთა მინიტრების დონეზე, თუ სამიტის დონეზე, ხელი არ მოუწერია. ეუთო ამას იმიტომ ვერ ახერხებდა, რომ ყველა შემთხვევაში მას რუსეთი ბლოკავდა. რუსეთმა ჩათვალა რა, რომ ეუთოს საქმიანობა მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ეუთოს პრაქტიკულად სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. რა თქმა უნდა, ეს განცხადებები ასეთი სახით არ კეთდებოდა მაშინაც კი, როცა საუბარი ეხებოდა ეუთოს ტრანსფორმირების, მოდერნიზაციის, საქმიანობის პრინციპების შეცვლის საკითხებს. ბოლოს პრეზიდენტმა მედვედევმა თავის ევროპელ კოლეგებს ევროპული უსაფრთხოების პროექტიც კი წარუდგინა. მედვედევის პროექტში პირდაპირ საუბარი არ ყოფილა ეუთოზე, მაგრამ ცხადი იყო, რომ მიზნად სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საერთაშორისო ასპარეზიდან ეუთოს ჩამოშორებასაც ისახავდა მიზნად. სწორედ რუსეთის ამგვარი დამოკიდებულება ქმნიდა იმ პირობებს, რაც სკეფსის ბადებდა კონკრეტულად ასტანის სამიტის ან საერთოდ ეუთოს შემდგომ ეფექტური საქმიანობის თვალსაზრისით. ძალიან სამწუხაროა, რომ სკეპტიკოსების ვარაუდი გამართლდა.

იხ. 4 გვ.

## ინფორმაცია

# ბოკერია ვაშაკიძემ შეცვალა

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე გიგა ბოკერიას ადგილს ნიკა ვაშაკიძე დაიკავებს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაცია საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე ნინო კალანდაძემ მიაწოდა.

მისი განმარტებით, მინისტრის პირველი მოადგილის პოსტზე ვაშაკიძის კანდიდატურა უკვე ოფიციალურად დამტკიცებულია.

რაც შეეხება მინისტრის კიდევ ერთი მოადგილის ვაკანტურ ადგილს, ალექსანდრე ნალბანდოვს, სავარაუდოდ, უწყების რომელიმე თანამშრომელი ჩაანაცვლებს.

შეგახსენებთ, რომ მინისტრის პირველი მოადგილის და მოადგილის თანამდებობები ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც გიგა ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა, ალექსანდრე ნალბანდოვი კი დიპლომატიურ სამსახურში გადაიყვანეს.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 227. სამშაბათი, 7 დეკემბერი, 2010 წელი.

◎ სკანდალი

# „ვიკილიქსი“ და საქართველო მსოფლიო მედიაში

**საიდუმლო დიპლომატიური ფოსტის ნაწილი საქართველოს პირდაპირ ან ირიბად ეხება. დიპლომატიურ შეტყობინებებს ადევს გრიფი „საიდუმლო“ ან – კონფიდენციალური.**

ფრანგული „მონდი“, გერმანული „შპიგელი“ და ამერიკული „ნიუ-იორკ თაიმსი“ „ვიკილიქსის“ მიერ გასაჯაროებულ გზავნილებში ქართული თემით ინტერესდებიან და საელჩოებიდან სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი დეპეშების ნაწილს აქვეყნებენ.

**საქართველოს ზედმეტად აქვს აკვიატებული იარაღის შეძენის იდეა, რაც მისთვის შიშის ერთგვარი ანტიდოტია** – ამერიკის საელჩო თბილისში, 2010 წლის 18 თებერვლის გზავნილი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსი პარიზში ფრანგი დიპლომატების ვახშამს ესწრებოდა. ელისეის სასახლის დიპლომატმა ვახშამზე თქვა, – **საფრანგეთი საქართველოს მიმართ სრულ მხარდაჭერას გამოხატავს, თუმცა კერძო საუბრებში ფრანგებს სურთ, სთხოვონ სააკაშვილს, თავი აარიდოს რუსების პროვოცირებას და სიტუაციის გამწვავებას** – ამერიკის საელჩო პარიზში, 2007 წლის 12 ივნისის გზავნილი.

პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალი ამბობს: **სამხრეთ ოსეთზე შეტევის დაწყებით სააკაშვილმა მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რამაც მხოლოდ რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი. პოლონეთს მიაჩნია, რომ სააკაშვილით რუსი აგენტები მანიპულირებდნენ, რათა საქართველოში სამხედრო მოქმედებები დაწყებულიყო მთავრობის დესტაბილიზაციის მიზნით-**ამერიკის საელჩო ვარშავაში, 2008 წლის 12 აგვისტოს გზავნილი.

ეს სამი ფრაგმენტი დიპლომატიური გზავნილებიდან ფრანგულ „მონდს“ იმის დამადასტურებლად მოჰყავს, რომ **აგვისტოს ომისა და თეთრ სახლში ობამას მოსვლის შემდეგ, ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გაცივდა.** სტატიის ავტორი მორელისი წერს – **ის უამრავი გზავნილი, რომელიც „ვიკილიქსმა“ მოიპოვა, საგარეო პოლიტიკაში ამ ცვლილების არსებობას ადასტურებს.**

გერმანული „შპიგელის“ კორესპონდენტი ივ კლუსმანი ყურადღებას უთმობს დიპლომატიური ფოსტის იმ ნაწილს, სადაც **ომის პრევენციისთვის ამერიკის დიპლომატიის ძალისხმევაა აღწერილი.**

ფრაგმენტი „შპიგელის“ წერილიდან – „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი საქართველოს მთავრობაში აფხაზეთის საკითხებში ყველაზე რეაქციულია. 2008 წლის 12 მაისს მეთიუ ბრაიზა მერაბიშვილს ხვდება და აფრთხილებს, რომ ომი საქართველოსთვის ცუდი გადაწყვეტილებაა – **„ომი ქვეყანას მოუსპობს, როგორც ნატოში გაწევრების შანსს, ასევე, ვაშინგტონის და ევროპის დედაქალაქების მხარდაჭერის დაკარგვის ფასად დაუჯდება“.**

**„აშშ-ის წარმომადგენელი ბრაიზა შეხვდა მერაბიშვილს და მას აფხაზეთის მთავრობასთან შუამავლის როლი შესთავაზა. ცოტა ხნით ადრე ბრაიზამ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად შავ ზღვაზე ისადილა. მერაბიშვილს აშშ-ის დიპლომატის წინადადებები არ მოეწონა. მან განაცხადა, რომ მომდევნო მოლაპარაკებებში საქართველო სამუდამოდ დაკარგავს აფხაზეთს. შეხვედრის ამერიკული ოქმის თანახმად, მერაბიშვილი ომზე არ საუბრობს, თუმცა დოკუმენტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ქართველები კონფლიქტის ზღვარზე დგანან“,** – წერს „შპიგელი“.

სტატიის ავტორს „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული კიდევ ერთი გზავნილი მოჰყავს, რომელიც 2006 წლის თებერვლით არის დათარიღებული. მოსკოვში ამერიკის საელჩო ვაშინგტონს აფრთხილებს – **„საჭიროა, ზეწოლა არა მხოლოდ მოსკოვზე, არამედ თბილისზეც. ჩვენ ამავდროულად თბილისიც უნდა ვაიძულოთ, კონცენტრაცია მოახდინონ იმაზე, რომ ძალის ნებისმიერი გამოყენება არამხოლოდ მიუღებელია, არამედ სახიფათოც.“**

„შპიგელი“ აქვეყნებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდის დიპლომატიურ მიმოწერას. **„ელჩი არწმუნებდა საგარეო საქმეთა მინისტრსა და თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, ზედმეტად მწვავე რეაქცია არ ჰქონოდათ და მოეხდინათ სიტუაციის დესკალაცია“.**

კიდევ ერთი გზავნილი – 2008 წლის 8 აგვისტო, 10:05 საათის: **„საქართველო აკონტროლებს სამხრეთ ოსეთის თითქმის მთელ ტერიტორიას, მათ შორის ცხინვალს. ყველა მტკიცებულება, რაც ქვეყნის გუნდს აქვს, ადასტურებს სააკაშვილის განცხადებას, რომ ეს ბრძოლა საქართველოს განზრახული არ ქონდა. მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ცხინვალის აღების ოპერაცია, რაც სამხრეთ ოსეთიდან ქართულ სოფლებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს“.**

„შპიგელის“ კორესპონდენტის აზრით, სააკაშვილმა ამერიკელი დიპლომატი მოატყუა – **„სააკაშვილმა ელჩი ტეფტი ისევ მოატყუა, ტეფტი საკუთარ თავზე წერს, – პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღისით სატელეფონო საუბარში მითხრა, რომ რუსები საქართველოს დაპყრობას და ახალი რეჟიმის დამყარებას აპირებენ. ისინი სამხრეთ ოსეთის დაკავებით არ დაკმაყოფილდებიან და თბილისსაც აიღებენ“.**

გერმანული გამოცემა ამერიკელი დიპლომატის, ჯონ ტეფტის გზავნილების შინაარსს ანალიზს უკეთებს და წერს, – **საქართველოს ხელისუფლების სურვილი იყო, ომზე პასუხისმგებლობისგან თავის არიდება და ამერიკის ხელისუფლებისთვის იმის დაბრალება, რომ მათ მეტი მხარდაჭერა არ აღმოუჩინეს რუსული შეტევის დროს.**




ამერიკული გამოცემის „ნიუ-იორკ თაიმსის“ ცნობით, **დიპლომატიური მიმოწერის გამოაშკარავების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქართველ ჩინოვნიკებს ამერიკელ დიპლომატებთან ზედმეტად ახლო ურთიერთობები ჰქონდათ.**

**„საქართველოში დიპლომატებმა სკეპტიციზმი გვერდზე გადადეს და მნიშვნელოვანი სადავო მოვლენების შესახებ ქართულ ინფორმაციას დაეყრდნენ. 2008 წლისთვის, როცა რეგიონი ომისკენ მიექანებოდა, ისინი მთავრობის მიღმა არსებულ წყაროებს მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ და ვაშინგტონს მოვლენების ოფიციალურ ქართულ ვერსიას გადამოწმების გარეშე აწვდიდნენ.**

**ომის დაწყების წინ ბოლო შეტყობინებამ დაადასტურა, რომ საელჩო მცდარ ინფორმაციას ეყრდნობოდა. ბათუ ქუთელიამ 7 აგვისტოს ელჩს განუცხადა, რომ ქართული ჯარი მზადყოფნაშია, მაგრამ არა საბრძოლო მდგომარეობაში. ამ დროს კი, სამხედრო აღჭურვილობა უკვე მიემართებოდა კონფლიქტის ზონისკენ“,** – წერს „ნიუ-იორკ თაიმსი“.

**სტატიების ქართულ ვერსიას ინტერნეტ გამოცემა „FOREIGNPRESS.GE“ აქვეყნებს.**

◎ ინფორმაცია

## რუსები შეთანხმებების მუხლებს კვლავ არღვევენ

ოფიციალური **თბილისი ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული შეიარაღების გაზრდის თაობაზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას მოახდენს.**

**– ჩვენ თავს ვალდებულად მივიჩნევთ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ნებისმიერ ქმედებასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოება საქმის კურსში ჩავაყენოთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინფორმაციით, საუბარია არა შეიარაღების გაზრდაზე, არამედ როტაციულ ქმედებებზე, – განუცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.**

**მისივე შეფასებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ნებისმიერი ქმედება არღვევს 12 აგვისტოს შეთანხმებას, „რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საერთაშორისო ნორმებზე, რომლებიც მას საქართველოს ტერიტორიული საზღვრების დაცვას ავალდებულებს“.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გუშინდელი ფოსტიდან

# მეშინია, ბატონო, არ გაგისკდეს მუცელი!..

***ეხმაურებიან ჩვენი გაზეთის 2 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილებს „წადით, თქვენი დედაცო, ხალხნო!“ და „ის გადიოდა ოფისიდან მარტო და ხალხისათვის გაჰქონდა პური...“***

## მაგათი დედაც და ყველაფერიც!

ბოდიშს ვიხდი ამ უცენზურო გამოთქმისთვის, მაგრამ როცა იმ თანხებს გადავხედე, რაც ცესკომ მოგაწოდათ, როცა ის ბრძანება ვნახე, რომელიც თვითონ გუბერნატორმა „დი კაპრიომ“ საკუთარი თავისთვის პრემიის გამოსაწერად გასცა, მაპატიეთ და, იმ ზემოთ ნათქვამის მეტი ვერაფერი დავწერე.

თქვენ გეკითხებით: რა უნდა ამ ხალხს?

ფული?

რა, ცოტა ჭამეს? კიდევ მეტი უნდათ? რამხელა კუჭები აქვთ?

აღარ ჰყოფნით ათასები და არც მილიონები?

იმ მულტფილმის პერსონაჟივით იქცევიან, მსახური რომ მიუმღერებს, მეშინია, ბატონო, არ გაგისკდეს მუცელიო.

თქვენ რას გერჩით, მაგრამ, გთხოვთ, დაბეჭდოთ ეს მიმართვა ოპოზიციისადმი და ხელისუფლებისადმი:

– რამდენი გინდათ, რომ თავი დაგვანებოთ? ვეცდებით, რომ შევაგროვოთ და წადით!

წადით და... წადით!

თუ ვინმემ დაგიშალოთ, იმის დედაც!

**ვანო ტყეშელაშვილი.**
**თბილისი**

***P. S. ჰო, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს წერილი მარტომ დავწერე, ან ნამდვილი გვარი მოვაწერე, ძალიან ცდება. ეგღა მაკლია, რომ მერე ტერორი დამიწყონ ოჯახში. ამიტომ, თუ იმ ვინმე ვანო ტყეშელაშვილს იპოვით, თავი დაანებეთ. ეს მისი დაწერილი არ არის!***

***ვ. ტ.***

## თქვენი მსჯელობა ყოვლად მიუღებელია

მინდა მივმართო ამ წერილების ავტორებს: არ მიგაჩნიათ, რომ ძალიან მკაცრად ცდილობთ საკითხის განხილვას?

ეს არ არის ის მეთოდი, რომლითაც თქვენ ჟურნალისტებმა, უნდა ისაუბროთ. თქვენი საქმე მხოლოდ საკითხის დაყენება და მისი ანალიზია. თქვენ კიდევ ცდილობთ, რომ თქვენი აზრები მოგვახვიოთ თავზე.

გამომდინარე იქედან, რომ არ ვარ არც ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი (წერილის სტილზე მიხვდებით) და არც დაინტერესებული პირი (ვარ უბრალო ინჟინერი), პირდაპირ გეტყვით, რომ ეს თქვენი ცილისწამება ყოვლად მიუღებელია.

რა გინდათ? გვერდზე გადავაგდოთ ის ყველაფერი, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს? გადავაგდოთ გაყვანილი გზები, გადავაგდოთ ის სამუშაო ადგილები, სადაც უამრავი ადამიანი დასაქმდა. გადავაგდოთ ის საერთაშორისო აღიარება, რაც საქართველომ თანაც ამ ბოლო კვირეებში მოიპოვა?

თქვენ გინდათ, რომ ამ ყველაფერს იგნორირება გავუკეთოთ, რაღაც საეჭვო ინფორმაციებიდან გამომდინარე.

მე გეუბნებით, რომ თქვენი მსჯელობა ყოვლად მიუღებელია და ეგ თქვენი აზრები თქვენთვის შეინახეთ!

**გურამ თევდორაშვილი,**
**გორი.**

## ყველას მოგიწევთ გადახდა, ბაბაიებო!

ძალიან კარგი წერილები იყო. არც მეგონა, რომ ეს უნამუსოები ამდენ ფულს ხაპავდნენ.

ის ახლანდელი მინისტრი და ყოფილი გუბერნატორი რომ შეჭამდა, ეგ კი ვიცოდი, მაგრამ ეს ოპოზიციონერებიც თურმე არ აკლებენ ჩვენს ჯიბეებს (იმას ზევით უნდა მიტანა, თან კიდე სახლშიც...)

რას გეტყვით, იცით?

აბა, იფიქრეთ, ვინაა საქმის გამკეთებელი?

ოპოზიცია?

რომელი გაანძრევს ხელს ხალხისთვის? ამხელა ფულს რომ იღებენ, იმის საქმეც უნდა გააკეთონ, ვინც უხდის.

აბა, მე რომ არ ვუხდი იმ ფულს, ეგ ნამდვილია (მაგენისთვის მისაცემი კი არა, სახლში რა მივიტანო იმას ვფიქრობ ყოველდღე).

გადააშენე მაგენი ერთ დღეს სუყველა.

გია, კაი იყო ის, მთელი მაგენის შემოსავლები რომ დაწერე, მაგრამ დაგეთვალა ბარემ სულ რამდენს იღებენ ერთად ყველა.

მე აწი რაღა შემიძლია, მაგრამ ვინმე მოთხოვს, ალბათ, მერე.

სულ კაპიკ-კაპიკ უნდა გადაიხადონ, რაც ჩვენგან წაუღიათ!

დაიმახსოვრეთ ეს!

მოგიწევთ, ბაბაიებო, მაგის გადახდა, მოგიწევთ!

**სიმონ ევგენიძე.**
**ქუთაისი**

◎ აქტუალური ინტერვიუ

# საკუთარ „წვენში მოუხარშავად“ არაფერი გამოგვივა...

(მეორე გვერდიდან)

**— ბატონო ირაკლი, თქვენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გაქვთ. რა ხდება დიპლომატიურ წრეებში, როცა ერთ-ერთი ქვეყანა, ამ შემთხვევაში რუსეთი, არაკონსტრუქციული პოზიციას ავლენს? და კიდევ, ასტანაში პრაქტიკულად რუსული დემარშის შემდეგ, სავარაუდოდ, როგორი იქნება ეუთოს წევრი ქვეყნების რუსეთისადმი დამოკიდებულება?**

— რუსეთის გამო მსგავსი პრობლემები სხვა ორგანიზაციების ფორმატებშიც არ წყდება. ასეთ ფორუმებზე ხდება მხოლოდ უკვე მომწიფებული გადაწყვეტილებების გაფორმება ან მანიფისტირება. ამჟამად საერთაშორისო ასპარეზზე საკმაოდ საინტერესო, მაგრამ რთული პროცესი მიმდინარეობს არსებული რეალიების შესაცვლელად. საუბარია იმ გლობალურ ცვლილებებზე, რომლის მოწმენი ყველანი ვართ. ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება, არ შეიძლება, არ ასახულიყო საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში. რუსეთის აგრესიული და მწვავე დამოკიდებულება ეუთოსადმი ემთხვევა რუსეთში ერთი მხრივ შიდა პოლიტიკურ ცვლილებებს, პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას, ხოლო მეორე მხრივ — ნავთობზე ფასების ზრდას. რესურსებზე ფასების ზრდის პირობებში რუსეთს ამბიციები გაუჩნდა. ამბიციების ზრდის პირობებში იგი ხედავს წინაალმდეგობებს და მათი გზიდან ჩამოცილებას ცდილობს. ეს, რა თქმა უნდა, ეუთოსაც ეხება. ასტანა მხოლოდ ერთი ეპიზოდია და ასეთი არაერთი შემთხვევა იყო. 2001 წლის 11 სექტემბრიდან დაწყებული, უამრავი სხვა გლობალური მნიშვნელობის მოვლენამ განაპირობა ზოგადი გარემოს ცვლილება და მათ შორის დღის წესრიგების ცვლილება, როგორც ტრანსნაციონალური, ისე რეგიონული სტრუქტურების. ამბიციების რეალიზების გზაზე რუსეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოშორებას ცდილობს.

ასეთ ფონზე რას შეიძლება ველოდოთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას აღმოაჩნდება საკმარისი კეთილგონიერება და პოლიტიკური ნება საიმისოდ, რომ დაძლიოს უკვე ჩამოყალიბებული სიტუაცია.



**— ბატონო ირაკლი, ცოტა ხნის წინათ თქვენ ქართველ ექსპერტთა მცირე ჯგუფთან ერთად მოსკოვში ბრძანდებოდით. გაგვიზიარეთ თქვენი მოსკოვური შთაბეჭდილებები...**

— მოსკოვის დათვალიერების საშუალება არ მომეცა. შეხვედრა ქალაქგარეთ, ერთ-ერთ სასტუმროში გაიმართა. შეხვედრა უდაოდ საინტერესო იყო, ვინაიდან არაერთი საინტერესო თანამოსაუბრე გვყავდა. შედგა საკმარისად გულახდილი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ რა მდგომარეობაა დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში და რა პერსპექტივები არსებობს მდგომარეობის დაძლევის თვალსაზრისით. დიალოგის ყველა დეტალზე საუბარი მიუღებელია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ შეხვედრა ჩემთვის და მასში მონაწილე ყველა ქართველი ექსპერტისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. შეხვედრაზე ბევრი რამ გავიგეთ, თუ რას ფიქრობენ და რა ტენდენციებია რუსეთში.

შესაძლოა, საზოგადოებას ერთსა და იმავეზე განუწყვეტლივი წუწუნით თავი მოვაბეზრე, მაგრამ მაინც გავიმეორებ. რუსეთში ვითარების შესწავლისა და ანალიზის თვალსაზრისით ჩვენი საქმიანობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ რაც კეთდება არასაკმარისია საიმისოდ, რომ პოლიტიკურმა კლასმა შეძლოს რუსეთში არსებული ობიექტური სურათის დანახვა და აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნისთვის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება. მოსკოვში გამართულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ კრიტიკული შეფასება არასაკმარისია და ჭეშმარიტებისაგან შორსაა. რუსებთან დიალოგის ფორმატში კონტაქტებისა და „წვენში ხარშვის“ გარეშე, დირებული ინტელექტუალური პროდუქტი უბრალოდ ვერ მოიხარშება და დავრჩებით იმ დონეზე, რა დონეზეც ვართ.

**კობა ბენდელიანი.**

◎ სხვა გაზეთიდან

# „რუსეთის დაზვერვის მუშაკებს ჩვენ ყოფილი ოფიცერი მივუჩინეთ“

***საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გაზეთ „კომერსანტის“ სპეციალურ კორესპონდენტს ოლგა ალიონოვას უამბო საქართველო-რუსეთის ამასწინანდელი საჯაშუშო სკანდალისა და იმის შესახებ, თუ როგორ ხედავს იგი რუსეთს 10 წლის შემდეგ.***

**— „ჩვენმა პრეზიდენტმა თქვა: ნებისმიერ წინადადებას რუსეთისგან განვიხილავთ“.**

— ნოემბერში თქვენ გამოაცხადეთ, რომ საქართველოში გამომჟღავნდა რუსეთის დაზვერვის სამმართველოს აგენტების ქსელი. მაგრამ რუსეთში დღემდე არავის სჯერა, რომ ესენი მართლაც აგენტები იყვნენ.

**— რატომ?**

— მაგრამ აი, სოციალურ ქსელებში გამოვიდა სკრილნიკოვის შვილი, რომელმაც თქვა, რომ მის მამას არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია სპეციალურ სამსახურებთან.

**— სკრილნიკოვის შვილი, სად მუშაობდა ის?**

— სად? რა, არ იცით, სად მუშაობდა იგი ოფიციალურად?

**— მძღოლად რუსეთის საელჩოში საქართველოში.**

**იგი იყო დაზვერვის მთავარი სამმართველოს ოფიცრის მძღოლი, რომელიც ოფიციალურად მიმაგრებული იყო რუსეთის სამხედრო ბაზაზე ბათუმში. ესე იგი, დაზვერვის მთავარი სამმართველოს ეს ოფიცერი, როდესაც საქართველოში ჩამოდიოდა, ოფიციალურად ითვლებოდა, როგორც დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი. მათ იქ ჰყავდათ აგრეთვე უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელი, დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელიც, ისევე, როგორც ნებისმიერ სამხედრო ბაზაზე. და ეს ახალგაზრდა სკრილნიკოვი მუშაობდა განსაკუთრებულ განყოფილებაში. აი, მიპასუხეთ, შეუძლია იქ იმუშაოს მძღოლად კაცმა, რომელსაც არანაირი ურთიერთობა არ გააჩნია დაზვერვის მთავარ სამმართველოსთან? მე შეიძლება მყავდეს მძღოლი, რომელსაც არანაირი ურთიერთობა არ ექნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან? არ იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატში? ამ სკრილნიკოვის ძმა მუშაობდა ცხინვალში მშვიდობისმყოფელთა შტაბთან, ასევე განსაკუთრებულ განყოფილებაში. ოჯახის ორი წევრი — დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელია, რატომ არ შეიძლება მათი მამა იყოს თანამშრომელი?**

**ის, რომ შვილი მუშაობდა მძღოლად განსაკუთრებულ განყოფილებაში, არ ნიშნავს, რომ მისი მამაც ამ ორგანიზაციის თანამშრომელია.**

**დიახ, ჩვენ ამას ჰაერზე როდი ვლაპარაკობთ. ჩვენ დიდი მუშაობა გავწიეთ. ჩვენ რუსეთის მთავარი დაზვერვის თანამშრომლებს მივუჩინეთ ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ჯერ კიდევ სსრ კავშირის დროს მუშაობდა დაზვერვის მთავარ სამმართველოში არაოფიციალურად. და იგი დაგვეხმარა გავსულიყავით მოკავშირეზე და სხვა აგენტებზე. სკრილნიკოვი გახლდათ სწორედ მოკავშირე.**

— თქვენ მხედველობაში გაქვთ ოპერაცია „ენვერი“? ამ ყოფილი საბჭოთა ოფიცრის ფსევდონიმი არის ენვერი?

**— დიახ, ეს კაცი ჯერ არ დაუბევებიათ რუსებს, აქედან იგი გადაიყვანეს უკრაინის გავლით რუსეთში, მისცეს ინსტრუქციები, პროგრამა მონაცემების გასაშიფრად, მიუჩინეს მღვდელი, რომელთა მეშვეობითაც გადასცემდა ინფორმაციას, და იგი კვლავ საქართველოში დააბრუნეს. და ამ კაცმა გადმოგვცა ჩვენ ყველა ეს კოდი, გვარი, ინფორმაციის გადაცემის არხი. ამ არხებით გავედით ჩვენ სააგენტო ქსელზე, აგენტების ნაწილი დავაპატიმრეთ, ნაწილი არა.**

— როდის დაიწყეთ თქვენ ენვერთან ეს ოპერაცია? სამხრეთ ოსეთში? ომამდე?

**— არა, ჩვენ ისინი დავიბევეთ ხელმეორედ შარშან. მაგრამ მისი კოდების დახმარებით გავშიფრეთ ძველი გადატაცებული ინფორმაცია, რომელთა მიღებაც ჩვენ შეიძლება არ შეგვძლებოდა, და აღმოვაჩინეთ მთელი ქსელი. ესე იგი, თავდაპირველად ჩვენ გავხსენით ერთი საიდუმლო, შემდეგ მეორე, შემდეგ კი წავიდა ჯაჭვი, ეს უკვე ტექნიკის საქმეა.**

— და გაირკვა, რომ ომის დროს საქართველოდან გაედინებოდა ინფორმაცია რუსეთის სასარგებლოდ? ასე ლაპარაკობს თქვენი ოპოზიცია.

**— გულახდილად რომ ვთქვა, იგი შეიძლება ყოფილიყო გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სინამდვილეში იყო. მიმაჩნია, რომ ჩემმა რუსმა კოლეგებმა იმუშავეს არაპროფესიულად.**

— რატომ მოხდა, რომ ამდენი წლის განმავლობაში ვერ გაშიფრეთ ისინი?

**— ვფიქრობ, ისინი უფრო ძლიერები არიან. რა წარმატებას მიაღწიეს მათ? საბჭოთა უშიშროების სამსახურებმაც კი ვერ მოახდინეს სსრ კავშირის დაშლის პროგნოზირება. ვერაფერი ვერ აიცილეს თავიდან. და ახლა ერთი-ორი კაცის დახმარებით გავიდნენ უზარმაზარ სააგენტო ქსელზე, ეს ხომ ძალიან ძნელია. ქსელი კი იყო ძალიან დიდი. და რა საჭიროა აგენტებად გყავდეთ ხუთი-ექვსი მფრინავი ერთ საშვეულმფრენო პოლკში? ეს ხომ დიდი რისკია.**

— თქვენ თქვით, რომ გახსენით დიდი ქსელი, რამდენად დიდი იყო იგი?

**— იყო ძალიან დიდი. ეს იყო ხალხი, რომელიც აქ დარჩა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. საკითხი შეეხება ათეული ათასობით კაცს. არსებითად, ეს არის კამპანია ენვერთან დაკავშირებით და იგი არ ყოფილა პიარი რუსეთის წინააღმდეგ, ეს იყო მესიჯი იმ ხალხისთვის, ვინც საქართველოში ცხოვრობდა. ყველაზე დიდი პრობლემა რა არის იცით? როდესაც ხელისუფლებაში მოვედით და ვცდილობდით დაგვეჯავშნა აგენტები, გვეუბნებოდნენ: „ბიჭებო, თქვენ სუსტები ხართ, თქვენ შიგნით იმდენი რუსი აგენტები გყავთ, მე რომ გადმოვიდე თქვენთან, მიწასთან გამასწორებენ“. ის ფაქტი კი, რომ შარშან ჩვენ შევძელით დაგვერწმუნებინა აგენტი და ჩვენმა აგენტმა გაბედა ჩასულიყო რუსეთში, მარტო ესეც კი ბევრ რამეზე მეტყველებს. იქ რომ სცოდნოდათ, რომ იგი ორმაგი აგენტი იყო, როგორ ფიქრობთ — იგი დაბრუნდებოდა უკან? მან დაიჯერა ჩვენი. დაიჯერა, რომ მას არ ჩავაბარებდით.**

— და როგორ არის ახლა საქმე, ბევრი მოდის თქვენთან?

**— ძალიან ბევრი. ეს არის ხალხი, რომელსაც რაღაც ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის სპეცსამსახურებთან, მაგრამ არ მიაჩნიათ, რომ მათ რაღაც საშინელება ჩაიდინეს.**

— როგორი სახის ინფორმაცია გადიოდა საქართველოდან რუსეთში ამ აგენტების მეშვეობით?

**— სხვადასხვანაირი. ნაწილების განლაგება, ინფორმაცია ტვირთის გადაადგილების შესახებ, რუკები, დოკუმენტები იარაღის შესყიდვის შესახებ. მე ვსაუბრობ 2008 წლის სიტუაციის შესახებ. მაგრამ ვიმეორებ, ეს არ არის ის მასშტაბი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო.**

— იცით, რომ უცნაურად მეჩვენება მთელი ეს ისტორია და იცით, რატომ იწვევს იგი ჩემში ნდობას? როდესაც რუსი ჯაშუშები გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოსკოვმა უმალვე მოახდინა რეაგირება. თქვენს შემთხვევაში კი მოსკოვი დუმს, არანაირ სიცრუეზე საუბარი არ მიდის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ესენი არანაირი ჯაშუშები არ არიან.

**— ის ამერიკა იყო, ეს საქართველოა. რა არის მათთვის საქართველო? დროებითი წერტილი, არასერიოზული ადამიანები, რომლებიც, ადრე თუ გვიან, რუსეთის ნაწილი გახდებიან. რუსეთს არ მიაჩნია საქართველო სრულუფლებიან სახელმწიფოდ, ვისაც შეიძლება მოელაპარაკო, ან ვისთანაც შეიძლება აზრი გაცვალო.**

— რა შუაშია აქ ეს? სპეცსამსახურებს აქვთ თავიანთი ღირსების კოდექსი და თუ კაცი ჩავარდა, შეეცდებიან მის ამოყვანას, მე ასე წარმომიდგენია, აქ კი დუმილია.

**— დაზვერვის მთავარ სამმართველოში, ალბათ, სხვა წესებია: თუ ჩავარდა, დაე, თავადვე მიხედოს თავის თავს.**

— კვლავ არ დაგეთანხმებით: 2006 წელს თქვენ რუსებს ჩააბარეთ დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, რომლებიც საქართველოში დააპატიმრეს. ეს არ ყოფილა გაცვლა, ეს იყო, უბრალოდ, გადაცემა.

**— მე მიჭირს ვისაუბრო საშინაო წესებზე რუსეთის სპეციალურ სამსახურებში. იქ საკითხი შეეხო დაზვერვის მთავარი სამმართველოს შტატის მუშაკებს. აქ საუბარია აგენტებზე. მაგრამ მე ამაში კომპეტენტური არა ვარ, არ ვიცი.**

— თქვენ არ შემოგთავაზეთ ამ აგენტების გაცვლა?

**— ჯერჯერობით არა.**

— რომ შემოგთავაზონ — განიხილავთ?

**— ნებისმიერ წინადადებას განვიხილავთ. ჩვენმა პრეზიდენტმა თქვა: ნებისმიერ წინადადებას რუსეთისგან განვიხილავთ. მაგრამ ეს უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს საკითხი კი არა, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საკითხია. „რამდენ ხალხს არ გადაუკვეთია ეს საზღვარი“.**

— რატომ უშლის საქართველო ხელს სოჭის ოლიმპიადას?

**— არ ვიცი, მე სპორტი არ მიყვარს.**

— ეს სპორტი არაა. თუ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ხელი შეუშალოს სოჭის ოლიმპიადის გამართვას, მაშასადამე, ეს პოლიტიკაა.

**— მე ჯერჯერობით არ ვარ მზად გიპასუხოთ ამ შეკითხვაზე.**

— საინტერესოა, რომ საქართველოში ჯერჯერობით არავინ არის მზად უპასუხოს ამ შეკითხვას. ყველა გვპირდება, გვიპასუხოს ამაზე მოგვიანებით.

**— და მეც მოგვიანებით გიპასუხებთ.**

— ჩეჩნეთის საკითხებზეც მოგვიანებით გვიპასუხებთ? პარლამენტში მზადდება ჩერქეზების გენოციდის აღიარება?

**— დიახ, მზადდება.**

— ესე იგი, ეს მოხდება?

**— დიახ, მოხდება.**

იხ. 8 გვ.

ისტორია

# დიდად საჭირო და სანდო გამოცემა

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის პრემიით დაჯილდოვდა ნაშრომი: „ქართლის ცხოვრება“. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბილისი, 2008“**

ტექსტოლოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმრავლესობის საფუძველთა საფუძველია. ფასი ეკარგება ყველა თეორიას, დებულებას, ჰიპოთეზას თუ კვლევა-ძიება უმაღლესი რანგის პროფესიონალთა ტექსტოლოგიურ სამუშაოს არ ეფუძნება. კვლევის თვალსაზრისით გამორჩეული ადგილი საქართველოში უწინდელ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს უპყრია (ამჟამინდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), რომელიც დღიდან დაარსებისა სანიმუშო ტექსტოლოგებით გახლდათ დაკომპლექტებული ბრწყინვალე ტექსტოლოგის, ბატონ ილია აბულაძის თაოსნობითა და ძალისხმევით. რაოდენ სასიხარულოა, რომ ესოდენ საპატიო პრემიით დაჯილდოებული ნაშრომის შემოქმედებით-სამეცნიერო ჯგუფის 14 წევრიდან, რომელთაც უშუალოდ იმუშავეს ტექსტების გამოსაცემად მომზადებაზე და, აგრეთვე, ისინი, ვინც დიდი ამაგი დასდო წინამდებარე პუბლიკაციას, თუ არ ვცდები, 10 სწორედ ამ ინსტიტუტის თანამშრომელი და აქ ცხოვრებაგამოვლილი მეცნიერია, ზოგი ამ დაწესებულების დაარსების პირველი დღიდან მოღვაწეობს, ზოგიც მას შემდგომ შემოემატა. მათ ერთი აზრით იცხოვრეს და დღესაც ამ აზრით სულდგმულობენ: თავაუღებელი შრომა, უდიდესი ერთგულება მათზე დაკისრებული მოვალეობისადმი და ხელნაწერთა განუზომელი სიყვარული. გამოცემას ერთვის პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის სრულიად ახალგაზრდა თანამშრომელს – ნესტან ბაგაურს ანდეს შესადგენად.

ხელნაწერთა ეროვნული სამეცნიერო ცენტრის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად გამოცემაზე მუშაობდა ცნობილი ტექსტოლოგი, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის წევრი და უცვლელი პასუხისმგებელი მდივანი ბატონი გურამ კარტოზია, რომლის განსწავლულობა ამ დარგში და ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ერთი სიტყვით, ტექსტები საიმედო გუნდის ხელთაა გამოვლილი და საბოლოოდ წაკითხული და ჩასწორებული ისეთი ტექსტოლოგის მიერ, როგორიც აწ განსვენებული ქალბატონი ციალა ქურციკიძე გახლდათ. დადგება დრო, მე ამაში დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება მეცნიერი, რომელიც დაინტერესდება „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაზე მუშაობის მთელი პროცესით და შეისწავლის ჩვენდა საბედნიეროდ შემორჩენილ კორექტურებს, საიდანაც ნათლად გამოჩნდება ცალკეულ ტექსტებზე მომუშავე მეცნიერთა მაღალი პროფესიონალიზმი. ძველი ქართული ენის გრამატიკის ბრწყინვალე ცოდნა და ისეთ დარგში მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელსაც ხელნაწერთმცოდნეობა ჰქვია და რომელიც ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ კრებულებში დამოუკიდებელი რუბრიკის სახელწოდებად მიდის, აი, ის ორი სვეტი, რომელსაც ტექსტოლოგია ემყარება. მაგრამ ობიექტური არ ვიქნები, თუ ხაზგასმით არ აღვნიშნავ, რომ ეს არაფერი არ გაკეთდებოდა, თუ ამ საქმის სათავეში არ იდგებოდა ბატონი როინ მეტრეველი, მეცნიერი, რომლის პროფესიონალიზმი და ორგანიზატორული ნიჭი, მოღვაწეობის მასშტაბები და საქმის შესანატრი ერთგულება სიმკაცრისა, რომელიც არ ლახავს არც ერთი ადამიანის ღირსებას და რბილად მოპყრობის ნაზავი ყველა იმ მეცნიერისთვის კარგადაა ცნობილი, ვისაც მასთან უმუშავია, ხოლო უმუშავია ძალზე ბევრ მკვლევარს. განა მას არ უდევს ლომის წილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნის საქმეში? მისით არ გაკეთდა ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, „ქართული დიპლომატიის“ ორტომეული, „წელიწდეულის“ 14 ტომი, მრავალი სამეცნიერო კრებული, რომელთაგან არ იცი, რომელს მიანიჭო უპირატესობა? ეს არასრული ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ მას ხელეწიფებოდა „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემას ჩადგომოდა სათავეში და განეხორციელებინა ეს დიდად საპასუხისმგებლო და საშური საქმე. რამდენი ათეული წელი ისმოდა საუბარი „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემის საჭიროებაზე! აღარაფერს ვამბობ ბატონ ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილზე, ბრწყინვალე მეცნიერზე, რომელსაც მუდამ აფიქრებდა ეს საქმე.




ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილისეულ გამოცემას აკრიტიკებდნენ ისეთი მკვლევრები, რომელთაც ერთხელაც არ შეუდგამთ ფეხი ხელნაწერთა ინსტიტუტში და ხელნაწერის ერთი გვერდიც არ გადაუფურცლავთ. არადა, ბატონი სიმონის მიერ განხორციელებულმა ტომებმა (I ტომი გამოიცა 1955, II – 1959 წელს) მთელი ეპოქა შექმნა, მეცნიერთა მრავალი თაობა აღზარდა და უამრავ მკვლევარს მისცა უშუალოდ პირველწყაროებზე მუშაობის საშუალება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. უცხოელი მეცნიერები გრძნობდნენ, რომ უკვე მოძველებული იყო მარი ფელისიტე ბროსეს მიერ განხორციელებული ფრანგული თარგმანი და ამიტომაც ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ მეცნიერულად დადგენილ ტექსტებს ეტანებოდნენ და საქართველოს ისტორიის კათედრის რამდენიმე წევრის საშუალებით სწავლობდნენ. ესენი იყვნენ ქართველოლოგები და ბიზანტინოლოგები პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, უნგრეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან; არაფერს ვამბობ რუს ბიზანტინოლოგებზე, რომელთაც მრავალი კონსულტაცია მიუღიათ სხვადასხვა ფორუმზე, პრივატულ საუბრებში თუ არქეოლოგიურ ექსპედიციებში ჩვენი ყოფნისას. ამ კონსულტაციების უმთავრესი წყარო, რა თქმა უნდა, ბატონ სიმონის გამოცემა გახლდათ. მაგრამ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და სწორედ დრომ დღის წესრიგში ახალი გამოცემის განხორციელება დააყენა.

„ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი ტექსტების გამოსაცემად მომზადება თითოეული მკვლევრისაგან მკაცრად მოითხოვს მისთვის მინდობილი თხზულების ყველა ნუსხაზე გულდასმით მუშაობას, ძირითადი ტექსტის შერჩევას, ვარიანტების უკლებლივ მოტანას, ბატონი აკაკი შანიძის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, იკითხვისებს, გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების, მათ შორის, კალმის უნებლიე შეცდომების, ორთოგრაფიულის, ათასგვარი დამახინჯებების, გაურკვეველი ადგილების გასწორებას. ყველა ეს პირობა დაცულია წინამდებარე გამოცემაში.




შესწავლილია და შესაბამისი დასკვნებია გამოტანილი როგორც ვახტანგ VI-ის წინანდელი ნუსხების, აგრეთვე, ვახტანგისეულის შესწავლის შედეგად; გამოყენებულია წინა გამოცემის განხორციელების შემდგომ აღმოჩენილი აკაკი კლიმიაშვილისეული ნუსხა (1697 წ., ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q ფონდი, № 1219), რომელიც უკვე გამოყენებული ჰქონდა ქალბატონ მზექალა შანიძეს, „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ დავითის ისტორიკოსის თხზულებაზე მუშაობისას, რომელიც 1992 წელს დაიბეჭდა. სწორედ ეს თხზულება გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ თხზულებათა შორის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი და არა ერთადერთი. წინა გამოცემასთან შედარებით ახალი გამოცემა ბევრი სიახლის შემცველია. გამომცემელმა გამოიყენა ყველა ვახტანგამდელი ნუსხა, რომელსაც, სხვათა შორის, მთელი ახალი გამოცემა ეფუძნება, აგრეთვე, ვახტანგისეულ ნუსხათა იკითხვისები; შესწორებულია მცდარი ან დავითის ისტორიკოსის დროისთვის შეუძლებელი ენობრივი ფორმები, რომლებსაც ხშირად ვენდობოდით, თუმც აზრიც გაუგებარი იყო და თხრობის შინაარსიც შეცვლილი. როგორ დარჩა ასე შეუმჩნეველი დავითის ისტორიკოსის „დასრულებად და უდებებად მზიდველთა“ (ძველი გამოცემისა) „დასულებად და უდებებად დამზიდველთად“ რომ გასწორდა ახალ გამოცემაში? განა „დასულება“ არ გვხვდება ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ორ, გაცილებით ადრინდელ ძეგლში, ვიდრე დავითის ისტორიკოსის თხზულებაა? ქალბატონმა მზექალა შანიძემ მრავალრიცხოვან ვარიანტულ წაკითხვათაგან ძირითადი ტექსტისთვის ენობრივად და შინაარსობრივად უფრო მისაღები ვარიანტები შეარჩია, რითაც საგრძნობი განსხვავება შეინიშნება წინამდებარე და წინამორბედ გამოცემებს შორის. დავითის ისტორიკოსის სტილის დადგენამ გამომცემელს უკარნახა, რომელი ენობრივი ფორმა და ლექსიკური ერთეული იყო შეუსაბამო ძველი ისტორიკოსისთვის და ისტორიული ფაქტებისა და რეალიების მოშველიებით მრავალი შესწორება და კონიექტურა შეიტანა.

მრავალთა შორის ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე არის წინამდებარე გამოცემაში: დიდგორის ბრძოლის ეპიზოდი გამომცემელმა გამართა **MQm** (respicite: მარიამისეული, კლიმიაშვილისეული, მაჩაბლისეული) – ნუსხებით, და არა ანასეულით, როგორც ბატონ სიმონის გამოცემაში გვაქვს, რითაც დაძლეულია წყვეტილი თხრობითა და მონაკვეთების აღრევით გამოწვეული გაუგებრობა. „წინამდებარე გამოცემაში (როგორც მზ. შანიძის 1992 წ. გამოცემაში) ეს ეპიზოდი ილებს ერთი მთლიანი ვრცელი წინადადების სახეს, რომელიც სინონიმური პარალელიზმის პრინციპს ეყრდნობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტერატურულ პარალელებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ტექსტის სტრუქტურის თვალსაზრისით და გასაღებს იძლევა ადრე გაუგებარი ადგილების გასარკვევად. ასეთი ადგილები კი უხვადაა თხზულებაში“, ასე აფასებს და განიხილავს ქალბატონ მზექალა შანიძის ნაღვაწს გამოცემისადმი დართულ მოკლე წინასიტყვაობაში მთავარი რედაქტორი ბატონი როინ მეტრეველი (იხ. წმიდა და პატიოსანი წიგნი. წინათქმა. „ქართლის ცხოვრება“. „მერიდიანი“, „არტანუჯი“, თბ., 2010, გვ. 16,17). მართლაც, მიუკერძოებელი მკითხველი ძირითადი ტექსტისთვის დართულ სქოლიოებში უხვად მოძიებულ მასალას ნახავს, მათ შორის, ციტატების სიუხვეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან რედაქციების მითითებით (გვ. 302, 337), სადაც აღნიშნულია: „ძველ, წინარეათონურ ტექსტში გვხვდება ამგვარადო“. დავითის ისტორიკოსის თხზულება მხოლოდ ერთი მაგალითია.

ახალი გამოცემის ტექსტებს დანართის სახით მიჰყვება აპოკრიფული თხზულებების შესანიშნავი მცოდნის, ქალბატონ ციალა ქურციკიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული აპოკრიფული თხზულება – „დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა“ – სამყაროს შექმნის სურათის ამსახველი. ტექსტში გათვალისწინებულია ყველა ის ხელნაწერი, რომელთა მიხედვით ქალბატონმა ციალა ქურციკიძემ ცალკე გამოსცა აღნიშნული ტექსტი, აგრეთვე, ერთი ხელნაწერი ეროვნული ცენტრისა (S-30) და სანქტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის ერთი ხელნაწერი (იოანე ბატონიშვილის კოლექციის №10). ტექსტი გასწორებულია შესაბამისი ხანის (XI საუკუნის წინარე ხანა) ენობრივი ნორმებით, აღმოფხვრილია დამახინჯებანი, რაც ასახულია მრავალრიცხოვან სქოლიოებში.

ახალი გამოცემის მეორე დანართია „ქართლის ცხოვრების“ ორფურცლიანი ფრაგმენტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H კოლექციისა (1067), რომელიც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა ვალერი სილოგავამ მოამზადა. გამომცემელმა აღნიშნული ფრაგმენტი პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე დაათარიღა, უფრო ზუსტად, ქრონოლოგიური საზღვრები შეავიწროვა და ზოგადად მოხაზული XVII საუკუნის ნაცვლად XVII საუკუნის 60-იანი წლები შემოგვთავაზა. „ასწლოვანი ისტორიის“ აღნიშნული ფრაგმენტი ისეთ რეალიებს შეიცავს, რომლებიც სხვა ხელნაწერებში საერთოდ არ მოიპოვება და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მეფე დემეტრე II-ის ურდოში „წარყვანების“ შესახებ. ფრაგმენტი სხვა სიახლეებსაც მოიცავს.

ტომი სრულდება ტექსტში დამოწმებული ძველი და ახალი აღთქმის წიგნების სახელების შემოკლებებით და „ქართლის ცხოვრების“ გამოცემებით, სადაც ცალკეულ თხზულებათა გამოცემები და სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანებიც შედის. წინამდებარე გამოცემაში პირველადაა გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების“ შესახებ არსებული საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა, რომლის მნიშვნელობა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ძალზე დიდია.

„ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემა უნდა გახდეს საფუძველი, მგონი ასეცაა ჩაფიქრებული, ახალი, ინგლისური გამოცემისა. დარწმუნებული ვარ, რომ ის უეჭველად საქართველოში უნდა ითარგმნოს; რაც შეეხება ჩვენს უცხოელ კოლეგებს, მათი მოღვაწეობა სარედაქციო კოლეგიაში და ტექსტის საბოლოოდ წაკითხვისას დიდ სარგებლობას მოიტანდა. ამაში დამარწმუნა Robert W.Thomson-ის მიერ შესრულებულმა თარგმანმა, განსაკუთრებით, ტექსტის კომენტარებმა.

ამრიგად, ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრება“ არა მხოლოდ ქართული, არამედ **საერთაშორისო მეცნიერებისთვის დიდად საჭირო და სანდო გამოცემაა,** რის გამოც ტექსტების დადგენაზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფი და ამ საქმის ორგანიზატორი და გამოცემის მთავარი რედაქტორი, ბატონი როინ მეტრეველი სამართლიანად დაჯილდოვდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დაწესებული ივანე ჯავახიშვილის პრემიით, ისინი მას უყოყმანოდ იმსახურებენ.

**ნათელა ვაჩნაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

მშიერი ფანტაზია

***ასეა, მიხეილ სააკაშვილმა ამ დღეებში, ლილოს ახალთახალ საბაჟო ტერმინალში გამოსვლისას, საქართველოს ეკონომიკას, რომლის წარმატებულმა მშენებლობამ მას მსოფლიო აღიარება მოუტანა, ხოლო ქვეყანას – ნომერ პირველი რეფორმატორის საპატიო სახელი, ბოლო აგური დაადო. კერძოდ, თქვა, რომ მსოფლიო ხომ განვაცვიფრეთ და განვაცვიფრეთ საქართველოში დღემდე ჩატარებული რევოლუციური რეფორმებით, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპაში და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე უფრო ჩამორჩენილი სახელმწიფო მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პირველ რიგებში გაიყვანა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რის გაკეთებაც ხელისუფლებას, ეკონომიკის ახალი კურსის განხორციელებით, აწი აქვს ჩაფიქრებულიო.***

# სააკაშვილის ახალი კურსის ძველი ვარიანტი




იმ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა და მოსახლეობა თანაბრად თუ არა, ერთმანეთზე მეტად მაინც არის დამშეული, სადაც ფასები და ინფლაცია ისეთი ტემპით მიერეკებიან სიღატაკეს უფსკრულისკენ, რომ ფანტაზიამაძღარი საქართველოს ხელისუფლება ველარც კი აკონტროლებს, იმავე ხელისუფლებას იმისთანა რა კურსი უნდა შეემუშავებინა, რომ გაუსაძლის გასაჭირში ჩავარდნილ მოსახლეობას, სოციალურ-ყოფითი ტკივილები ერთბაშად გაუყუჩოს, ამაზე არ გიფიქრიათ? თქვენ შეიძლება საამისოდ არც გული შეგრჩათ და არც განწყობა, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენს მაგივრად მთავრობამ იფიქრა და ისეთი პროგრამა შეადგინა, რომელიც ქვეყანას ახალ ვერტიკალზე გაიყვანს. ამ პროგრამა-კურსის ავტორად და ინიციატორად, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პრეზიდენტი სააკაშვილი მოგვევლინა.

როგორც მან განაცხადა, მთავრობის ახალი კურსის მიზანია, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნა, ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მეწარმეთა საქმიანობას გაცილებით მარტივსა და ეფექტურს გახდის, მისცემს მათ საშუალებას, გაზარდონ როგორც საკუთარი, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.

**კი მაგრამ, თუ სამუშაო პირობები არ იყო, აქამდე აბა როგორ ვითარდებოდა ბიზნესი საქართველოში, რას ემსახურებოდა ამდენი წარმატებული ეკონომიკური რეფორმა, რომელმაც ჩვენ, მსოფლიოში პირველი რეფორმატორი ქვეყნის იმიჯს გვაზიარა? ან ის რას ნიშნავდა, მსოფლიო ბანკმა, ბიზნესის კეთების სიმარტივის თუ სიიოლის მხრივ, საქართველო „ჩემპიონ ქვეყნად“ რომ გამოაცხადა?** ამ კითხვებს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ისევე მარტივად გასცა პასუხი, როგორი სიმარტივითაც საქართველომ, საკუთარი ხელისუფლების გონიერებისა და მოხერხებულობის წყალობით, მიაღწია უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის განვითარებაში მსოფლიო აღიარებას.

ჩვენო, თქვა ბატონმა მიხეილმა, ბიზნესის დაწყების, მისი, ასე ვთქვათ, დარეგისტრირების სიმარტივისა და სიიოლის მხრივ, მსოფლიოში ბადალი არ გვყავსო, მაგრამ თურმე შემდეგ ექმნებათ მეწარმეებს პრობლემები. **რა თქმა უნდა, პრეზიდენტს არ უხსენებია „რეკეტი“, „ბიზნესის დაყაჩაღება“, რასაც სახელმწიფო ორგანოები არც თუ იშვიათად იყენებენ მეწარმეთა მიმართ, მაგრამ იმის აღიარებამ კი მოუწია, რომ ქვეყანაში ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან წნეხის პირობებში იმყოფება, რის გამოც ბევრი თავს არიდებს ბიზნესის დაწყებას, არ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, იმიტომ რომ არ ენდობა სახელმწიფოს, არ აქვს სტაბილურობის განცდა. ყველა მეწარმე ვალდებულია, გადაიხადოს კანონით დაწესებული გადასახადი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას საგადასახადო სამსახურის მუშაკები ჩაუსაფრდნენ, გამოიჭირონ რაიმე დარღვევაში, ჯარიმებით მოახრჩონ, საწარმო კი დაულუქონო. ვინც დასაჯარიმებელია, უნდა დაჯარიმდეს, მაგრამ საწარმო არ უნდა გაჩერდეს, სახელმწიფომ მეწარმეს ყელში კი არ უნდა წაუჭიროს, არამედ უნდა იყოს მისი დამხმარე და პარტნიორიო.**

უარესი ამბები ხდებოდა საბაჟო ტერმინალებშიო. თურმე აქ კვირობით და თვეობით იყო დაგროვილი ტვირთები და ფუჭდებოდა. იმპორტიორები, გადამზიდავები ცალკე მებაჟეებთან დარბოდნენ „საქმის ჩასაწყობად“, ცალკე ბროკერებთან, მაგრამ ვიდრე ტყავს არ გააძრობდნენ, არაფერი გამოსდიოდათ. აბა ეკონომიკა როგორ განვითარდება, თუ იმპორტიორსა და მეწარმეს 3-4 კვირა საბაჟოში მოუწევს სირბილიო – აღშფოთებას ვერ მალავდა პრეზიდენტი. თუმცა, გულს იმით იმშვიდებდა, ქვეყანაში ასეთი უმსგავსობა აწი აღარასოდეს განმეორდებაო.

მაინც რისი იმედი აქვს პრეზიდენტს? თურმე ეკონომიკის მართვაში ახალი სამთავრობო კურსისა და საბაჟო რეფორმის. **სააკაშვილის თქმით, ახალი წლიდან ამოქმედდება ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს გადასახადების ამოღების ადმინისტრირების დონეს და მეწარმეთა წნეხს. საგადასახადო სისტემა გახდება უფრო მარტივი და ეფექტური, პრაქტიკაში დაინერგება გამარტივებული ბუღალტერიის წარმოება და საგადასახადო ომბუდსმენის თანამდებობა, რომელიც დაიცავს გადასახადის გადამხდელის ინტერესებს.**

არნახული ცვლილებებია გათვალისწინებული საბაჟო სისტემის მუშაობაში. რის ლოდინი, რა ლოდინი, აწი საბაჟო ტერმინალები 24-საათიანი გრაფიკით იმუშავებენ, იმპორტიორები და მეწარმეები ტვირთების დეკლარირებას 3 დღის ნაცვლად ერთ საათში მოასწრებენ. საბაჟოში ყველა პროცედურის გავლა მოხდება ერთი ფანჯრის პრინციპით, თანაც, საბაჟო ტარიფი განახევრდება, თუ იყო 450 ლარი, გახდება 200 ლარი.

თქვენ პირს შაქარი, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ გვიკვირს და გაგვკვირვებია, ამ დემოკრატიის მზით გაჩახჩახებულ და პოლიციის შენობებივით გამჭვირვალე ქვეყანაში მეწარმეების, ბიზნესმენებისა და იმპორტიორებისთვის ამხელა სასიხარულო მოვლენის დღემდე გასაიდუმლოება როგორ და რა ფაქტორების გათვალისწინებით მოახერხეთ? იქნებ არ იცოდით, ეს უკანასკნელნი სახელმწიფოს მიერ ცეცხლმოკიდებულ ღუმელში როგორ იხრუკებოდნენ და ამ სავალალო ფაქტს ახლაღა გადააწყდით? ან იქნებ იფიქრეთ, უკვე იმდენჯერ მოვიტყუე, მაინც აღარ დამიჯერებენო და გაჩუმება ამჯობინეთ?

ყველაფერია მოსალოდნელი. **ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ისეთი მთავრობა გვყავს, რომელიც ოღონდ თავად იყოს მაძღარი და მშიერი ხალხის გასაცუცურაკებლად არც ერთი ჯიშისა და ჯილაგის ტყუილს არ დაიწუნებს. განსაკუთრებით ახლა, თვითმმართველობის არჩევნების „მოგების“ შემდეგ, როცა ქართული ბიზნესის 70 პროცენტზე მეტი საგადასახადო სამსახურების მძიმე, აუტანელი წნეხის ქვეშ მოექცა. როცა ბიზნესის მხარდაჭერის ნაცვლად, სულ უფრო ძლიერდება დაკანონებული სამთავრობო რეკეტი, რაც მეწარმეთა ერთ ნაწილს ბიზნესის კეთებაზე უარის თქმას, ხოლო მეორე ნაწილს – საზღვარგარეთ გადახვეწას აიძულებს.** თუ ადრე შემოსავლების სამსახური უფრო მსხვილ ბიზნესზე იყო ორიენტირებული, ახლა ხელისუფლების წნეხის ქვეშ მოექცა მცირე და საშუალო ბიზნესიც. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ბიზნესმენთა სახელმწიფო სტრუქტურებში დაბარება და „ნებაყოფლობით კერძო საკუთრების სახელმწიფოსთვის გადაცემა“ ან სამართალში მიცემა, შემდეგ საპროცესო გარიგება და წართმეული საურავით სახელმწიფო ბიუჯეტისა და მსხვილ ჩინოვნიკთა ჯიბეების შევსება.

გაუგებარია, ამ „გამოცდილების“ მქონე ქვეყნის თავკაცი რა ნამუსით ლაპარაკობს ეკონომიკის ახალ კურსსა და საბაჟო რეფორმაზე, როცა სწორედ პრეზიდენტის და მისი ერთგული სამთავრობო გუნდის უგუნური პოლიტიკის წყალობით გაუარესდა ქვეყანაში ბოლო წლების მანძილზე ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი, გაიზარდა საგარეო ვალი, 80 პროცენტით შემცირდა უცხოური ინვესტიციები, ხოლო იმპორტი ოთხჯერ ჭარბობს ექსპორტს. ამასთან, გაიზარდა უმუშევრობის დონე, დაახლოებით 1,8 მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე სიღარიბის ზღვარს მიღმაა, ხოლო ნახევარი მილიონი – უკიდურესად ღარიბია. კატასტროფულად გაიზარდა ფასები სასურსათო პროდუქტებსა და სასიცოცხლოდ აუცილებელ მედიკამენტებზე.

ჰოდა, როცა ასეთ გასაჭირშია პრეზიდენტისგან მართული ქვეყანა, მისგან ამდენი ტყუილისა და ფანტაზიორობის შემდეგ, კიდევ ერთი ტყუილის ატანა რატომ უნდა გაგვიჭირდეს? თანაც თუ ამას აკეთებს ჩვენთვის შეღავათიან პირობებში (პროდუქტებზე ფასების არნახულ ზრდასთან ერთად წყლისა და ტრანსპორტის ტარიფმაც მოიმატაძ, მასაც პატარა ანგარიში ხომ უნდა გავუწიოთ?!

**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## მასწავლებლებს ოქსფორდის პროგრამებით გადაამზადებენ



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ინგლისური ენის მასწავლებელთა ტრენინგების მიმდინარეობას გაეცნო.**

**ტრენინგებში თბილისის, მცხეთისა და რუსთავის საჯარო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლები მონაწილეობენ.**

**მასწავლებელთა ტრენინგს ოქსფორდის მასწავლებელთა აკადემიის ინგლისური ენის სწავლების კურსის ხელმძღვანელი ტერეზა დოგუელი ახორციელებს.**

**ტრენინგის მიზანია ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სასწავლო პროცესში უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. ტრენინგის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გრამატიკის სწავლების მეთოდების გაცნობას და მოსწავლეებში კითხვის უნარების განვითარებას.**

**გადამზადებულ მასწავლებლებს გადაეცემათ ოქსფორდის აკადემიის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები და მეთოდური მასალები. ტრენინგის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ.**

ჯი-ეიჩ-ენი

### სამომხმარებლო ბაზარი

# აზარტი, როგორც... ვაჭრობის მამოძრავებელი ძალა

***ყველა ეპოქას სხვებისგან განსხვავებული გარკვეული ნიშნები აქვს, რომელთა ერთობლიობა მისი ერთგვარი „სადარბაზო ბარათია“. ეს ეპოქები, ცხადია, ცალკეული, გაცილებით უფრო მცირე პერიოდებისგან შედგება, რომლებსაც ასევე გარკვეული მახასიათებლები აქვთ. ამდენად, თანამედროვე ქართულ სამომხმარებლო ბაზარს თუ დავაკვირდებით, დღესდღეობით მის სიმბოლოდ, უსაზღვროდ გაზრდილ ფასებს თუ უგულებელვყოფთ, ბოლო დროს მეტად პოპულარული დაგროვებითი პლასტიკური ბარათების „ზღარბები“, „მტრედები“ ან „ღიმილები“ (სმაილიკები) შეიძლება მივიჩნიოთ.***

ამ ტიპის ბარათები ჩვენში თავდაპირველად ზოგიერთი ფარმაცევტული კომპანიის აფთიაქებში შემოიღეს, მალე კი ეს წამოწყება სასურსათო თუ არასასურსათო საქონლით მოვაჭრე მაღაზიებმაც აიტაცეს. კიდევ უფრო მეტი ინიციატივა შემდგომ პარფიუმერიის მაღაზიებმა და ნავთობპროდუქტების იმპორტიორმა კომპანიებმა გამოიჩინეს, რომლებმაც თავიანთ კლიენტებს ერთბაშად რამდენიმე სახეობის — ბონუსების, ფასდაკლებისა და დაგროვების ბარათები შესთავაზეს, ხოლო ეს უკანასკნელი ორი ფუნქცია მერე კომერციული ბანკების საკრედიტო ბარათმაც შეიძინეს. ამასთან, ზოგიერთი კომპანია, მომხმარებელთათვის უფრო კომფორტული და ხალისიანი გარემოს შესაქმნელად, ყველაფერთან ერთად ლატარიებსაც ათამაშებს. დაგროვების ბარათების მიმზიდველობა, რომლებიც, როგორც ჩანს, სხვებზე უფრო მეტადაა პოპულარული, ის არის, რომ გარკვეული ქულების დაგროვების შემდეგ საჩუქრის არჩევა მომხმარებელს თავად შეუძლია.

დაგროვების ანდა ფასდაკლების ბარათებს კომპანიები მომხმარებელს ჩვენში ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ან გარკვეული საქონლის შეძენისას მიართმევენ, ან, უბრალოდ, უფასოდ ჩუქნიან, ოღონდ ამ შემთხვევაში ათვლა „0“ ქულიდან იწყება. ასე ხდება, მაგალითად, ზოგიერთი ფარმაცევტული კომპანიის სააფთიაქო ქსელში, მაღაზიების ზოგიერთ ქსელში კი კლიენტს დაგროვების ბარათს მხოლოდ ერთდროულად გარკვეული ღირებულების საქონლის ყიდვისას უხსნიან. აღსანიშნავია ასევე, რომ კონკრეტული კომპანიის დაგროვებითი ბარათები მხოლოდ მის მაღაზიათა ქსელში მოქმედებს. ამასთან, მომხმარებლის მოსაზიდად ზოგიერთი მათგანი (კერძოდ, PSPძ 100 ქულად ერთ ლატარიის ბილეთს აძლევდა მსურველს და გათამაშების შემდეგ, თუკი კაცი ვერაფერს მოიგებდა, ამ ქულებს ისევ უტოვებდა, თუმცა, ბოლო გათამაშებაში,რომელიც ცოტა ხნის წინათ გაიმართა, ეს ბილეთებში „გადახდილი“ ქულები კლიენტებს ჩამოაჭრეს — ეტყობა იფიქრეს, ვინც მოსაზიდი იყო, მოვიზიდეთ, ეს ქულები რაღაში დავუტოვოთო. სხვა ვითარებაა „უნიქარდის“ „თქვენს სასურველ ბარათებთან“ დაკავშირებით. მისი ბარათების მფლობელებს ქულების დაგროვება დაახლოებით 900 სავაჭრო ობიექტში შეუძლიათ და შემდეგ, გარკვეულ კატალოგში მითითებულ ფასად, სასურველი საჩუქრის შერჩევაც. დაგროვილი ქულები, ჩვეულებრივ, დაგროვებით ბარათზე დახარჯული თანხის 10 პროცენტის გაანგარიშებიდან ერიცხებათ.

როგორც ვხედავთ, დაგროვებისა და ფასდაკლების პირობები ყველა მსხვილ კომპანიაში განსხვავებულია, ბევრი მათგანი მომხმარებელს ერთბაშად რამდენიმე სხვადასხვა ტიპის პლასტიკურ ბარათს სთავაზობს.

უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, ფასდაკლების ბარათი, რომელსაც მრავალ ქვეყანაში წარმატებით იყენებენ სავაჭრო კომპანიები, საკმაოდ კარგად მოფიქრებული მარკეტინგული მიგნებაა. ერთი, რომ იგი თავიდანვე საქონელს ფასდაკლებით ყიდულობს, მეორეც ის, რომ საქონლისა თუ მომსახურების მიღება სახლიდან გაუსვლელად შეუძლია. თანაც, მუდმივი კლიენტურა ფირმის გაყიდვების დონეს მნიშვნელოვნად ზრდის.

სოციოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ დაგროვებითი ბარათები საზოგადოებრიობის უკლებლივ ყველა ფენაში საკმაოდ პოპულარულია, ხოლო ფასდაკლების ბარათები, მეტწილად, უფრო ფინანსურად შეძლებული ხალხის კატეგორიას იზიდავს. ასევე სოციოლოგიური სტატისტიკით დადგენილია, რომ, ფაქტობრივად, ყველა მეტ-ნაკლებად მსხვილი კომპანიისთვის მუდმივი კლიენტურის 20 პროცენტს ფირმისთვის 80-პროცენტიანი მოგება მოაქვს. ფასდაკლების ბარათების ქონების არსიც სწორედ ის არის, რომ მუდმივ კლიენტს კვლავ და კვლავ უკვე „გაკვალულ გზაზე“, ძველ „ნაცნობ“ კომპანიაში მიუწევდეს გული და ამ სურვილის კიდევ უფრო მეტად გასაღვივებლად მას, როგორც აღვნიშნეთ, ფასდაკლებათა, ბონუსების სასაჩუქრე, ბრენდებისა და კლუბების ბარათებს სთავაზობენ. იმის მიუხედავად, რომ ამ მასშტაბით შეღავათების ბარათები საქართველოს ბაზარზე ჯერჯერობით არ არის და სადღეისოდ მოხმარებაშია მხოლოდ დაგროვებისა და ფასდაკლების ბარათები, მათი გავრცელების ტემპს თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში თანდათანობით ჩვენში სხვა სახეობის ბარათებიც შემოვა. ამის თქმის უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ დაგროვების ბარათების გამოყენება საკმაოდ ფართოდაც, ზოგიერთმა მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორმა კომპანიამ და კომერციულმა ბანკმა დაიწყეს.

პლასტიკური ბარათები საქართველოს საბანკო სისტემაში თავდაპირველად საკრედიტო ბარათების სახით დამკვიდრდა, რომლებითაც ბანკები თავიანთ კლიენტებს სხვადასხვა სახეობის მომსახურებას სთავაზობენ. ზოგიერთი სახეობის საკრედიტო ბარათის ჩვენებური მფლობელი მომხმარებელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ამ კონკრეტული საბანკო გლობალური ქსელის წევრი ხდება, რომელიც საგანგებო შეთავაზებებს იღებს და ფასდაკლებით (მაგალითად, მაღაზიებსა და რესტორნებშიძ სარგებლობს. არსი ის არის, რომ ამ ბარათით ფულის გადახდისას, მისი მფლობელი ნებისმიერ დროს გამოსაყენებელ სათანადო ქულებს აგროვებს, რომლებსაც, სურვილისამებრ, თავის არჩევანის მიხედვით, რომელიმე პროდუქციის ანდა მომსახურების საფასურად გამოიყენებს.



აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც სამომხმარებლო ბაზრის ნებისმიერ სხვა სფეროში, დაგროვების ბაზარზეც, მისი საზღვრების გაფართოებასთან ერთად, მძაფრდება კონკურენციაც. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ მაღაზიათა ქსელმა „გუდვილმა“ „უნიქარდის“ დაგროვების ბარათების გამოყენებაზე უარი თქვა და თავის მუდმივ მომხმარებელს „პოპულის“ მაღაზიათა ქსელის მსგავსად, მხოლოდ საკუთარი ბონუსების ბარათის გამოყენების უფლებას აძლევს. მისი მიღება კი „გუდვილის“ რომელიმე საფირმო მაღაზიაში 70-ლარიანი ერთჯერადი შესყიდვის შემდეგაა შესაძლებელი პირადობის მოწმობის წარდგენისას.

დაგროვების ბარათების მფლობელთა რიცხოვნობის ზრდის ტემპი გვაფიქრებინებს, რომ მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ქულების დაგროვება გარკვეულ აზარტთანაცაა დაკავშირებული, რომელიც, როგორც ცნობილია, ადამიანს უხსოვარი დროიდან ახასიათებს, როცა ჯერ კიდევ ქვით ხელში მისდევდა ნადირს...

**ოთარ ტურაბელიძე**

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

## საიუბილეო სამღლიური

**სამი ეგიდიორი ჰყავდა გამოჩენილი ქართველი სწავლულისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ოთნოლოგიური სკოლის მესაძირკვლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს: სმეა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი. ეს ღონისძიებები მთელი სამი დღე გაგრძელდა — 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე.**



აკადემიის სააქტო დარბაზში საიუბილეო სხდომა გახსნა პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. ნაჩვენები იყო იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი. „სიტყვა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიაზე“ — ასე ერქვა პროფესორ თამილა ცაგარეიშვილის ფრიად საგულისხმო მოხსენებას. მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ოთარ ჯაფარიძე, აკადემიის წევრი ვახტანგ შამილაძე, პროფესორები ნოდარ ლომოური, ნანული მაისურაძე, ელდარ ნადირაძე, ოთარ ჟორდანია, გივი ღამბაშიძე, ნანა ხაზარაძე.

ეროვნულ მუზეუმში გაიმართა საიუბილეო-სამეცნიერო სესია. გიორგი ჩიტაია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში; გიორგი ჩიტაიას ერთი პუბლიკაციის შესახებ; გიორგი ჩიტაია კავკასიური ცივილიზაციის შესახებ; გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო აღზრდის მეთოდები; მუზეუმში გიორგი ჩიტაიას შემოტანილი ზოგიერთი ნივთის შესახებ; მონადირეობა საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, სვანეთიძ — აი, ასე „დატრიალდა“ დიდი მკვლევრის სახელის გარშემო სესიაზე წარმოდგენილი თემატიკა.

ბოლო, მესამე დღეს საიუბილეო ზეიმობა ღია ცის ქვეშ გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაგრძელდა. გაიხსნა ახალი ექსპოზიცია „მუზეუმის ისტორია“ და აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მემორიალური კაბინეტი. დემონსტრირებული იყო კიდევ ერთი დოკუმენტური ლენტი „ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. შედგა ქართული სამეურნეო კულტურის მიღწევების ჩვენება: „ქართული ყველი“ (გამოფენა-დეგუსტაციაძ და „კახური თავანკარა“ (გამოფენა-დეგუსტაცია).

ცალკე უნდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე: იუბილარის მოწაფემ, პროფესორმა თამილა ცაგარეიშვილმა ძვირფასი მასწავლებლის 120 წლისთავს „დაახვედრა“ რუდუნებით მომზადებული, სამაგალითო რედაქტორობით გამოცემული ხუთტომეული გიორგი ჩიტაიას შრომებისა, რითაც მოწაფური ერთგულების ჩინებული ნიმუში მოგვცა. დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი შესანიშნავი ხელოვანი, აკადემიკოსი ზურაბ წერეთელი, რომელმაც სპონსორობა გაუწია ამ საშვილიშვილო საქმეს.

## ერთობლივი საკადემიო პროექტი ავსტრიასთან

**სმეა-ის მორიგ სხდომაზე აკადემიის უცხოელ წევრთა ვაკანსიების გამოყოფის თაობაზე ისაუბრა პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ. გადაწყდა, რომ წელსვე, ჯერ აკადემიის განყოფილებებში და შემდეგ საერთო კრებაზე განიხილავენ 7 საზღვარგარეთელი წევრით ეროვნული აკადემიის შევსების საკითხს. ისინი ვაკანსიებს დაიკავებენ ბიოლოგიურ მეცნიერებათა, მედიცინის, ფიზიოლოგიის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებებში.**

ავსტრიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ერთობლივი პროექტი „ალპები და კავკასიონი“ ეკრანზე ილუსტრირებით გააცნო შეკრებილთ აკადემიის წევრმა გია ნახუცრიშვილმა. კარგად გამოჩნდა (პირდაპირი აზრითაცძ თუ რა სარგებლობის მომტანი იქნება პროექტის ხორცშესხმა ორივე ქვეყნისათვის (აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში ჩვენმა გაზეთმა საგანგებო პუბლიკაცია მიუძღვნა ამ მნიშვნელოვან საკითხს).

**თამაზ ეზანოიძე**


## განცხადება აუქციონის შესახებ

2010 წლის 15 დეკემბერს 12:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს “თიბისი ტრეიდის” (მის.: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №11ა) ქონების რეალიზაცია.

გასაყიდად გამოტანილი იქნება დაგირავებული ქონება, 100%-იანი წილი შპს „თიბისი ფეის” (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204559361) კაპიტალში.

ქონების საწყისი ფასია 1 487 000 (ერთი მილიონ ოთხას ოთხმოცდაშვიდი ათასი) ლარი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს ქონების საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი სს „თიბისი ბანკი”. აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სპეციალისტის სადეპოზიტო ანგარიშზე, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ქონების მესაკუთრე.

სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7

სხვა გაზეთიდან

# „რუსეთის დაზვერვის მუშაკებს ჩვენ ყოფილი ოფიცერი მივუჩინეთ“

(მეოთხე გვერდიდან)

— მაგრამ ეს კიდევ უფრო გაართულებს ურთიერთობას რუსეთთან.

**— რა, არის კიდევ უფრო მეტი რამე?**

— საქართველომ გააუქმა ვიზები ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებისთვის, და რუსეთში ეს აღიქვეს, როგორც პროვოკაცია. რატომ წახვედით ასეთ ნაბიჯზე? სასაზღვრო დეპარტამენტი შედის შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასე რომ, ეს საკითხი თქვენი კომპეტენციაა.

**— ჩემთვის გაურკვეველია რუსეთის ეს რეაქცია. ნებისმიერ ქვეყანაში მხარს უჭერენ ნებისმიერი შეზღუდვის ლიბერალიზაციას.**

— თქვენ მხედველობაში გაქვთ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია საზღვრისპირა ტერიტორიებთან?

**— არა მხოლოდ. თუ საქართველო გააუქმებს ვიზებს ყველა რუსეთელისთვის, ესეც კარგი რამე იქნებოდა.**

**მაგრამ არ გააუქმებენ. გააუქმეს მხოლოდ ჩრდილოეთი კავკასიის მცხოვრებლებისთვის.**

— რა მოხდა მერე? გამოდის, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან საქართველო აწესრიგებს ურთიერთობას, რუსეთთან კი არა?

**— არ მესმის, რა არის პრობლემა? რა მოხდა ცუდი? კავკასიელები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ. მოსკოველი ჩამოფრინდება თვითმფრინავით, კავკასიელები კი უნდა ჩავიდნენ მოსკოვში, რომ იქიდან გამოფრინდნენ შემდეგ. აი, ოსი, თუ მას სურს თბილისში ჩამოსვლა ვლადიკავკაზიდან, უნდა გაფრინდეს მოსკოვში და შემდეგ იქიდან უკან. რამდენ ფულს დახარჯავს? თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის კი ოთხი საათის სავალია.**

— ოსეთის ზემო ლარსიდან არ შეუძლიათ ჩამოვიდნენ? თქვენ ხომ გახსენით იქ საზღვარი?

**— არა. იქ შეიძლება გადავიდეს მხოლოდ ის ხალხი, ვისაც ვიზები არ სჭირდება. თუ იქ რუსები ჩვენს მოქალაქეებს გაუშვებდნენ და მისცემდნენ ვიზებს, ჩვენც ამას გავაკეთებდით. მაგრამ ცალმხრივად ამის გაკეთება არ გვინდა. თუ თქვენ ვიზა გჭირდებათ, იქ ვერ გაივლით. მაგრამ ახლა, სავიზო შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებისთვის, თქვენ, თუ ოსეთში ცხოვრობთ, ვიზა აღარ დაგჭირდებათ და შეგეძლებათ გადახვიდეთ ლარსიდან.**

— და გადადიან?

**— დიახ, იცით რამდენი კაცი გადადის? 700 კაცი დღეში მხოლოდ ლარსის გავლით!**

— ოსებიც?

**— ყველა. ჩეჩნებიც, დაღესტნელებიც, ყაბარდოელებიც, ოსებიც — ყველა.**

— სად მიდიან ისინი?

**— 70 პროცენტი ტრანზიტით საქართველოს გავლით — ზოგი ხაჯზე, ზოგი — თურქეთში, 30 პროცენტი კი საქართველოში რჩება. პატიოსნად გეტყვით, მეც არ ველოდი ასეთს. ჩვენ ამჟამად იქ გავაორმაგეთ მესაზღვრეების რაოდენობა. იქ რუსეთის მხრიდან უზარმაზარი რიგებია, რუსი მესაზღვრეებიც არ ელოდებოდნენ ასეთ რამეს. ვინაიდან ამდენი ხალხი არასოდეს ყოფილა, საბჭოთა პერიოდშიც კი არ გადადიოდა ამდენი ხალხი საზღვარს. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ჩვენ გავხსენით ფანჯარა ამ საბრალო ხალხისთვის, და მათ შეძლეს საქართველოს გავლით წასულიყვნენ სადღაც.**

— რატომ საბრალონი?

**— იმიტომ, რომ ყველას როდი შეუძლია გაფრინდეს გროზნოდან სტამბოლში თვითმფრინავით. ანდა გაფრინდეს მოსკოვში და იქიდან სტამბოლში. ბევრისთვის გაცილებით იაფია საქართველოს გავლით მგზავრობა. და საერთოდ, ხალხს სურს რაღაც იხილოს, მათთვის საინტერესო რამ. იცით, რამდენი რუსეთის მოქალაქე იყო საქართველოში წელს 9 თვის განმავლობაში? ეს მანამდე, სანამ გავაუქმებდით ვიზებს ჩრდილოეთი კავკასიელებისთვის. 140 ათასი. ეს ძალიან ბევრია. და, საერთოდ, საქართველოში ამ პერიოდში იყო 1,7 მილიონი კაცი, ეს 40 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან იყო.**

— რასთან არის ეს დაკავშირებული?

**— თქვენ იხილეთ ბათუმი? სვანეთი? 350 ათასმა სომეხმა, 360 ათასმა აზერბაიჯანელმა, 360 ათასმა თურქმა იმოგზაურა წელს საქართველოში. ტურიზმის ასეთი მკვეთრი ზრდა, საერთოდ, მე არასოდეს მინახავს. რაც მეტმა ხალხმა გაიცნო საქართველო, მით მეტი ჩამოდის აქ. თქვენ წაიკითხეთ მასალა ჟურნალ „ავტორევიუში“ იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოვიდნენ რუსები მანქანით აქ? აი ხალხი ჩამოვიდა, ბევრი რამ ნახეს, ასე რომ, ყველაფერი კარგად არის, გაოცებული დარჩნენ იმით, თუ როგორი ზრდილობიანი პოლიციელები არიან აქ, და დაწერეს კიდეც ამის შესახებ, რუსმა მკითხველმა წაიკითხა ეს და მანაც მოინდომა ჩამოსვლა, აი როგორ მუშაობს ეს.**

— ოპოზიცია კი ამბობს, რომ საქართველოში არის ელიტარული კორუფცია და არავინ მის წინაალმდეგ არ იბრძვის.

**— ეს მეტად ორიგინალურია. ჩვენთან კორუფცია არ არის, არის ელიტური. ჩვენ პოლიციის ახალი უბნის მშენებლობა გვიჯდება 30 პროცენტით უფრო იაფი, ვიდრე ნებისმიერი კერძო სახლისა. სად არის კორუფცია? ოპოზიცია საუბრობს კორუფციის შესახებ საქართველოში, რუსეთში კი არ არის კორუფცია? მაინტერესებს, რატომ არ აღელვებს ოპოზიციას ის, თუ რა ხდება რუსეთში? ყველაზე საშინელი ის არის, თუ რა ხდება რუსეთში, ეს ელიტის დეგრადაციაა. ადრე რუსეთის ლიბერალური ელიტა საქართველოს ლიბერალურ ელიტაზე გაცილებით უფრო ლიბერალური იყო. იგი იყო ათგზის უფრო განათლებული და უფრო ჰუმანური, ვიდრე ჩვენი. ახლა კი, პირიქით, იგი ხდება მარგინალური. რუსეთში ლიბერალები მარგინალები ხდებიან.**

**საქართველოში ხალხი ყოველთვის უფრო ლიბერალური იყო, ვიდრე მისი მმართველები. რუსეთში პეტრეს შემდეგ ყოველთვის ხელმძღვანელები იყვნენ უფრო ლიბერალები, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი. კომუნისტებამდე. კომუნისტების შემდეგ ელცინი და გორბაჩოვი, გაცილებით უფრო ლიბერალურები იყვნენ, ვიდრე მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი. ახლა კი პრობლემა ისიც კი არ არის, თუ ვინ არის მთავრობაში, ეს პრობლემა თავად ხალხშია. გაიხსენეთ ხრუშჩოვისეული დათბობა, რამდენი ლიბერალური ხალხი იყო. გარდაქმნის პერიოდში კი? ახლა კი შევჩუკიც კი თქვენთან მარგინალია. რითია ელიტა ძლიერი? იგი ქმნის მოდას. ამაშია მისი ძალა. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მის ოდენობას, მთავარია — ხარისხი. იგი ქმნის საზოგადოებრივ აზრს, ამჟამად კი რუსეთში ელიტა არ ქმნის მოდას.**



— რატომ გაღელვებთ საქართველოში ეს?

**— მე ვნერვიულობ იმის გამო, რომ რუსეთი ძალიან შორდება ცივილიზებულ სამყაროს.**

— რატომ ნერვიულობთ?

**— იმიტომ, რომ ეს უფრო უარესია ჩვენთვის, მეზობლებს არ ირჩევენ.**

— თქვენ ასე გაღელვებთ პრობლემები რუსეთში იმიტომ, რომ მიგაჩნიათ — უამისოდ საქართველოს პრობლემებს ვერ გადაჭრით?

**— არა, ამ თვალსაზრისით საქართველოსა და რუსეთს შორის ვერანაირ კორელაციას ვერ ვხედავ. რუსეთში პოლიტიკური კულტურის გაუმჯობესებისგან დიდად არ იქნება დამოკიდებული საქართველოში პოლიტიკური კულტურის ცვლილებანი. რუსეთის კულტურის გავლენა საქართველოში მინიმალურია.**

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ რუსული კინოს ფესტივალი აქ შეუმჩნევლად გაიმართა? ჩემი აზრით, ეს იყო ფურორი. ხალხს ნოსტალგია გაუჩნდა რუსულ კულტურაზე.

**— აი, შეხედეთ, ვინ იცის ამ ფესტივალის შესახებ ბოჰემის გარდა? პრობლემა ის არის, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტმა უკვე არ იცის, ვინ არის რიაზანოვი.**

— აი ამას უკვე ვერ დაგიჯერებთ. „ბედის ირონიაც“ არ იციან?

**— „ბედის ირონია“ კიდევ იციან, მაგრამ რიაზანოვი — უკვე აღარ. ვინაიდან მსოფლიო შეიცვალა. მსოფლიო გახდა გლობალური, ამჟამად ახალგაზრდობა ყველაფერს ინტერნეტიდან გებულობს, გებულობს თუ რა ხდება მსოფლიოს მეორე ბოლოში. თავად რუსები უფრო მეტად ამერიკულ ფილმებს უყურებენ, ვიდრე თავისას. რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს რუსულ კინოს საქართველოში? თქვენ თვითონ, როდის ნახეთ უკანასკნელად რუსული ფილმი?**

— სულ ახლახან. ჩვენთან ბევრი კარგი კინოა.

**— ამჟამად ევროპელებმა გაიგეს ვისთან აქვთ საქმე. რუსეთმა დაკარგა ბაზრის ერთი მესამედი. 10 წლის შემდეგ რუსეთის წილი ევროპის ენერგეტიკაში იქნება 15 პროცენტი. ვინაიდან ევროპელებმა იციან: რუსეთთან კავშირის დამყარება არ ღირს. ამიტომ გადაწყვიტეს მათ გაიყვანონ ნავთობსადენი ალჟირიდან და ყატარის გაზი იქიდან შემოიტანონ.**

— ბირთვული იარაღი?

**— ბირთვული იარაღი ჩრდილოეთ კორეასაც კი აქვს. იქნება კიდევ ერთი ისეთი ქვეყანა, სადაც ხოცავენ ჟურნალისტებს, სადაც სახიფათოა და სადაც ახდენენ მეზობელი ტერიტორიის ოკუპაციას. აი, წარმოიდგინეთ, ამჟამად მთელმა დასავლეთმა სამყარომ აღიარა, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. ეს დამღაა. დამღა რუსეთზე. ახლა ნებისმიერი ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, როდესაც მოლაპარაკებას დაიწყებს რუსეთთან, იტყვის: დიახ, ყველაფერი კარგადაა და ჩვენ ყველა თქვენი პირობა ხელს გვაძლევს, მაგრამ არის თქვენგან ოკუპირებული ტერიტორიები, საჭიროა ამ საკითხის გადაჭრა. და თუ რუსები მოითხოვენ კრედიტებს, მათ ეტყვიან: უნდა მოელაპარაკოთ საქართველოს. და თუ ისინი მოინდომებენ ინვესტიციებს, მათ კვლავ შეახსენებენ საქართველოს შესახებ. ევროპელები ხომ ბიუროკრატები არიან, მათ ხომ ჩაწერეს, რომ ეს არის ოკუპაცია, და მორჩა და გათავდა. და ვინ შეცვლის ამას? მათ ამჯერად კოზირი აქვთ რუსეთის წინაშე. აი, წარმოიდგინეთ, რომელიღაც უცხოელი ჟურნალისტი ამზადებს სტატიას რუსეთის შესახებ. ანდა ბიზნესმენი აპირებს რუსეთში ჩასვლას და მას უმზადებენ პროფაილს: რა არის რუსეთში კარგი და რა არის ცუდი და რას ხედავს ის: რუსეთში სცემეს ჟურნალისტს. იქ მოახდინეს ტერიტორიის ოკუპაცია. იქ ციხეში ჩასვეს ბიზნესმენი. იქ პატიმრები იხოცებიან წინასწარი იზოლაციის ადგილებში. რა, ეს მოეწონება ბიზნესმენს? ვფიქრობ, რომ არა. ხოდორკოვსკიზე საუბრით დაიღალნენ, დასავლეთში ყველა მასზე საუბრობს. მან რუსეთს დიდი პრობლემები შეუქმნა. როდესაც კონგრესმენებს ხვდებიან, ისინი ამბობენ: თქვენ ხოდორკოვსკი გყავთ, უი, რა ცუდია. და ყოველთვის ერთი და იგივე. ამან არ შეიძლება თავი არ მოგაბეზროს ისე, რომ რომელიმე მომენტში საბოლოოდ არ გაათავისუფლონ ხოდორკოვსკი. და ერთი თვის შემდეგ, სხვათა შორის, ხოდორკოვსკის თემას დასავლეთში დახურავენ. ოკუპაციას კი — ეს ხომ უფრო სერიოზულია, ვიდრე ხოდორკოვსკი. ეს რუსეთის სერიოზული დისკრედიტაციაა.**

— როდესაც თქვენ საუბრობთ დასავლეთის მიერ ოკუპაციის აღიარებაზე, მხედველობაში ობამას სიტყვები გაქვთ?

**— ევროკავშირი ხმას აძლევდა ნოემბრის ბოლოს, ბაროზუმ თავის სიტყვაში თქვა, რომ საქართველო ოკუპირებულია, ობამამ და კლინტონმა ამის შესახებ უკვე თქვეს, კიდევ ვინ არის საჭირო? მე ამის შესახებ ოცნებაც კი არ შემიძლია. და ამაში ჩვენ რუსეთი დაგვეხმარა. იმაშიც, რომ იქ სცემენ ჟურნალისტებს. ციხეში სვამენ ბიზნესმენებს და ა.შ.**

— მიუხედავად ყოველივე ნათქვამისა, საქართველოს, როგორც ჩანს, მოუწევს შეურიგდეს დაკარგულ ტერიტორიებს.

**— არა, პირიქით, დასავლეთის მიერ ოკუპაციის აღიარებამ ჩვენი შანსი კიდევ 10 პროცენტით გაზარდა.**

— არ გაღელვებთ, რომ რუსეთის თქვენს მიერ დახატული ათი წლის შემდგომი პერსპექტივები არ მოგცემენ განვითარების საშუალებას? ასეთი სახელმწიფო თქვენთვისაც ძალიან სახიფათოა.

**— როგორ შეიძლება მსოფლიოში მეოცე სახელმწიფო იყოს ვინმესთვის სახიფათო?**

— მაგრამ თქვენ მაგალითად მოიყვანეთ ჩრდილოეთი კორეა — ჩრდილოეთი კორეა სახიფათოა თავისი მეზობლებისთვის.

**— ის იმდენად არის უხიფათო, რომ სამხრეთ კორეაც კი არ იწყებს იქ ომს. მათ ომში ჩართვაც კი არ უნდათ. ისინი ფიქრობენ: ამჟამად ჩვენ ავიღებთ ამ ქვეყანას, იქ კი რამდენი მშიერი ხალხია და ისინი ჩვენ უნდა გამოვკვებოთ.**

— თუ თბილისში კვლავ მოვლენ ჯარები?

**— მსოფლიოში მეოცე სახელმწიფო ვერ შეძლებს უკვე ამის გაკეთებას. რუსეთმა ორი წლის წინათ ვერ შეძლო საქართველოს აღება, როგორი მიზეზებიც არ უნდა დაასახელოთ. ვერ შეძლო. აი, რომ ყოფილიყო მსოფლიოში მეორე სახელმწიფო, შეძლებდა? რასაკვირველია, შეძლებდა. თქვენ უკვე წახვედით ავღანეთში, როდესაც მეორე სახელმწიფო იყავით. ამერიკაც წავიდა ავღანეთში, ერაყში. დიახ, რუსეთმა შეიძლება ზიანი მოგვაყენოს, ხელი შეგვიშალოს გამოვაქვეყნოთ დასავლეთში რაიმე, აკრძალოს ჩვენი საქონელი, აკრძალოს ინვესტირება საქართველოში — და მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველო ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე რუსეთი.**

**სავარაუდოდ „რუსი ჯაშუშები“ დააპატიმრეს საქართველოში ერთი თვის წინათ. მოსკოვმა მომხდარს „პოლიტიკური ფარსი“ უწოდა.**

**29 ნოემბერს როიტერის სააგენტომ, ანონიმურ წყაროებზე მითითებით, განაცხადა საქართველოში 20 კაცის დაკავების შესახებ, რომლებსაც ბრალი ედებათ რუსეთისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემაში საჯაშუშო ქსელის მეშვეობით.**

**5 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ხელისუფლების პირველი ოფიციალური კომენტარები. სპეციალურ ბრიფინგზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ ოთარ ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ დაპატიმრებები მოხდა ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა რიცხვებში. მან დააზუსტა, რომ აყვანილია 13 კაცი — 4 რუსი და 9 საქართველოს მოქალაქე: 6 საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი, სამხედრო მეზღვაური, 5 ბიზნესმენი და პენსიონერი. კიდევ ორი ფიგურანტი დათანხმდა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და ისინი გაათავისუფლეს. ყველა დაკავებულს ბრალი დასდეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარ სამმართველოსთან თანამშრომლობაში. პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრალი დასდო საქართველოს „პოლიტიკურ ფარსში“ და „ქრონიკულ დაზვერვამანიაში ანტირუსულ ნიადაგზე“.**

**6 ნოემბერს საქართველოს ტელეარხმა „რუსთავი-2“-მა აჩვენა დოკუმენტური ფილმი „ენვერი“, რომელიც გვიამბობს სპეციალური ოპერაციის შესახებ. მასში იტყობინებოდნენ, რომ საჯაშუშო ქსელის გახსნა კონტრდაზვერვამ შეძლო დაზვერვის მთავარ სამმართველოში თავისი კაცის — რუსეთის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურის „დანერგვით“, რომლის ფსევდონომიც ენვერი იყო. ბრალდების არსი იყო მათ მიერ რუსეთისთვის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა ბათუმის პორტის გავლით ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ, სამხედრო ინფორმაციის შესახებ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს, საქართველოს არმიის კოდებისა და შიფრების, აგრეთვე თბილისის საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის მონაცემების შესახებ და ა.შ.**

**8 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა, განიხილოს რუსეთთან დაპატიმრებული ჯაშუშების გაცვლა, მეორე დღეს კი ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სპეცოპერაციის მონაწილეთა დაჯილდოების დროს დაადასტურა თავისი სურვილი, დაიწყოს მოლაპარაკება მოსკოვთან „ნებისმიერ მომენტში და ნებისმიერ დონეზე“. პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ არავითარი დიალოგი გაცვლის შესახებ არ იქნება და მოითხოვა საკონსულო დაშვების უზრუნველყოფა რუსეთელებთან.**

**22 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის დაკავებულ მოქალაქეებს შეხვდა საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსეთის სექციის ხელმძღვანელი ანდრეი სმაგა. შეხვედრის დეტალები არ გამჟღავნებულა.**

**30 ნოემბერს ბრალდებულთა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების წინასწარი დაპატიმრების ვადა გადის 14-15 დეკემბერს.**

**ამ დროს სასამართლო პროცესი, რაც ამას უნდა მოჰყვეს, იქნება დახურული, ვინაიდან საკითხი შეეხება ეროვნულ უშიშროებას.**

Коммерсант

◉ წარდგენა

**მწერალმა, პოეტმა, ჟურნალისტმა და ბიბლიოთეკათმცოდნემ გულნარა სტურუამ პოეზიის ბილიკებიდან პროზის შარაგზაზე შემოაბიჯა. შემოვიდა გაბედული, ზომიერად ფრთხილი ნაბიჯებით. პროზის სფეროში ეს ქალბატონი ამ ოთხიოდე წლის წინათ გამოჩნდა ეთნოგრაფიული ხასიათის კრებულით — „ჩვენი სუფრა ქართული“ (თბ; 2006).**

მას შემდეგ ავტორმა თავი მოუყარა საკუთარი პოეზიის ნიმუშებს და მკითხველს შესთავაზა ლექსების კრებული „ჩემი ბილიკი“ (თბ; 2007წ; წლეულს გულნარა სტურუა მკითხველის წინაშე წარსდგა საკმაოდ სქელტანიანი პროზაული კრებულით **„პუბლიცისტიკა, მოთხრობები, ესეები, ნარკვევები, პოლემიკა“** (გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“წ; კრებული გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით;

ბიბლიოთეკაში პრაქტიკული და შემოქმედებით საქმიანობით მიღებულმა გამოცდილებამ ჩამოაყალიბა ავტორის საკუთარი შეხედულებები მკითხველებზე, ავტორებზე, საერთოდ ქართული მწერლობის მიზანსა და ამოცანებზე. ნარკვევებში „წიგნი და მკითხველი, „ხალხი — მოწინავე მწერლობის ნიადაგი“, ავტორი ცდილობს ჩამოაყალიბოს მწერლის უპირველესი დანიშნულება. მისი აზრით „თავისი ხალხის ფიქრის, აზრის, სულისა და გულის მოძრაობებში ღრმად შეჭრა მწერლის მოვალეობაა და მისი შემოქმედებაც თავისი ხალხის ჭირისა და ვარამის, სიხარულისა და სიკეთის სარკე უნდა იყოს, რომელშიც არა მხოლოდ მისი ერი ჩაიხედავს, არამედ კაცობრიობაც“. ეხება რა წიგნის აღმზრდელობით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დანიშნულებას, ავტორი ასკვნის, რომ მას ვერ შეცვლის კომპიუტერი. სწორედ წიგნი უნდა გამოვიყენოთ მიძინებული მოქალაქეობრივი აზროვნების გამოსაფხიზლებლად.

# ბილიკებიდან — შარაგზაზე

წარმოდგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი პუბლიცისტური წერილები, მხატვრული ნააზრევი, ესეები, ნარკვევები, რომლებიც 70-იანი წლებიდან ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა. წიგნში გარკვეული ადგილი უკავია საქართველოში თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენათა შესახებ ავტორისეულ დამოკიდებულებას. ავტორი ცდილობს, ამ მოვლენებს ჩაწვდეს ჟურნალისტური და მწერლური თვალით.




თემატურად რთული სტრუქტურის მქონე კრებულს მარტივად გასდევს ქვეყნის სიყვარული, ენის და მამულისადმი ერთგულების სულისკვეთება, მამულიშვილური გრძნობის აღზრდის აუცილებლობა და წადილი.

მკითხველი წიგნში შეხვდება ყოფითი მოვლენების გააზრებას მცირე ნოველების სახით წარმოდგენილს; ოჯახის, ზნეობრივი აღზრდის, ქალთა უფლებებისა და მდგომარეობის თემატიკაზე შექმნილ ნაწერებში ნათლად გამოსჭვივის მწერალი ქალის წმინდა ეროვნული სული — ერთობ ფაქიზი, მაგრამ მებრძოლი და შემართებული, სუფთა და ამაღლებული პათოსით გაჯერებული. კრებულში შეხვდებით ქართული ხასიათის აღწერის მცდელობას, ცდას — გააღვიძოს ქართველი კაცის გულში რაინდული სული, რათა ერთობლივი მცდელობით გადაიჭრას ის ზოგადადამიანური პრობლემები, რომლებიც ასეთი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი თანამედროვე ქართულ სინამდვილეში. ეს პრობლემები ავტორს გაბედული, ამაღლებული პათოსით გამოაქვს სააშკარაოზე და წუხს ქვეყნის საწუხარით. ეხება რა ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმას, ავტორი ასკვნის, რომ რეფორმა უნდა ემსახურებოდეს განათლების აღმავლობას, ქართული ენის შესწავლას, მისი სიწმინდის დაცვას და სრულყოფას. ამ მიმართულებით გადადგმული, გაუაზრებელი ნაბიჯები და დაულაგებელი პროცესები ერთგვარად ამახინჯებს არა მარტო მოზარდის, არამედ, საერთოდ, ერის სულიერ სხეულს.

კრებულის ავტორს, როგორც ბიბლიოთეკათმცოდნეს, დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი წიგნთან და მკითხველთან მუშაობის სფეროში. სწორედ

წინამდებარე კრებულში ავტორმა ჩამოაყალიბა საკუთარი მოქალაქეობრივი მრწამსი, დაგმო ადამიანთა გულგრილობა და შეეცადა ეჩვენებინა სულიერი კრიზისის დაძლევის გზები და საშუალებები. კრებული არ არის ვიწრო ლიტერატურული წრეში წასაკითხი წიგნი, იგი ფართო პროფილის ნააზრევია, რომელიც მკითხველს დააფიქრებს, ძალასა და გონებას შემატებს.

კრებულის წარდგენა ამას წინათ გაიმართა თბილისის მთავარ საქალაქო ბიბლიოთეკაში, რომელსაც უძღვებოდა ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ქალბატონი ცისანა ქორჩეშვილი. მან თავისი დამახასიათებელი ლიტერატურული ნიჭიერებით და ავტორისავე წიგნებიდან ამოკრეფილი ფრაზებით დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას დაუხატა მწერლის პორტრეტი. გ. სტურუას ჟურნალისტურ და მხატვრულ შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ, მან აღნიშნა, რომ არ იცნობდა მწერალს, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებში მისი ავტორობით დაბეჭდილ ნარკვევებსა და პუბლიცისტურ სტატიებს, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს და დიდი სიამოვნებით კითხულობდა. ასევე საუკეთესო შეფასება მისცა პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ გულნარა სტურუას კრებულს და მიიჩნია იგი მკითხველისათვის აუცილებლად წასაკითხ წიგნად. პოეტებმა რამაზ ბერაძემ და შოთა ტოგონიძემ მწერლის გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებაზე ისაუბრეს. გ.სტურუას გულთბილი სიტყვები მიუძღვნეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა. მის ლექსებს მხატვრული ხიბლი კიდევ უფრო შემატა კითხვის ოსტატმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ჯემალ მელქაძემ. მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ციალა კალმახელიძემ ქალაქ თბილისის ფოტო-ალბომი გადასცა მწერალს. ბოლოს გ. სტურუამ დიდი მადლობა გადაუხადა ამ ღონისძიების მსურველებს და ყველას, ვინაც მონაწილეობა მიიღო ამ ლიტერატურულ საღამოში.

**გურამ თაყნიაშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

◉ ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება
მურმან თავდიშვილი

# რა ერი წახდეს...

**სახელოვანი რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი გვმოძღვრავდა, გვასწავლიდა, შეგვაგონებდა: რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო.**

ამ აფორიზმის სიმართლე დრომ დაადასტურა; მაგრამ ფორმულას თავისი სიმართლე აქვს საპირისპირო მიმართულებითაც — რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს.



იგულისხმება შემდეგი:

ბევრწილად ენის წახდენას, მის დაცემასა და გაჩანაგებას თვითონ ჩვენ, ქართველები, ვუწყობთ ხელს. განა ორიოდე გროშის ხელში ჩასაგდებად არ გამოვაკარით თურქული აბრები იმერეთ-ქართლის მთავარ მაგისტრალზე?

ამ წარწერებში ქართული არსად ჭაჭანებს.

ახლა თბილისი ვნახოთ!

აქაც იგივე სურათია.

თუ ადრე, კომუნისტების დროს, იმაზე ვდავობდით და აურზაურსა ვტეხდით, რუსული ასოები უფრო დიდი რად არის ქართულზეო ან კიდევ იმასა ვდარდობდით, თუ ზოგჯერ სადმე (ისიც ძალზე იშვიათადძ ჯერ რუსული წარწერა იყო ფირნიშანზე და მერე — ქართული, ამჟამად საამისო დავაც აღარ გვიწევს: მრავალ სასტუმროს, შენობასა და შესასვლელს „ამკობს“ ქართველი კაცისთვის სრულიად გაუგებარი ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული წარწერები, სადაც ქართულის ჭაჭანებაც არაა!

ავადსახსენებელი კომუნისტების დრო ტკბილად გვახსენდება.

მაშინ სასტიკად ვებრძოდით სიტყვა „ბუტკას“; არცა „კიოსკი“ გვესულგულებოდა. — საჭიროა, სიტყვა „ჯიხური“ გამოვიყენოთო! — გვმოძღვრავდნენ ქართულის მცოდნე ზეპურნი მამანი და დედანი. ახლა კი უხმაუროდ, აყალმაყალის აუტეხლად გავაბატონეთ სიტყვა „ბუტიკი“, თანაც ისე, ერთი არ გაგვიბრძოლია.

არადა, „ბუტკა“, მგონია, იგივე „ბუტიკია“, თანაც „ბუტკა“ უფრო კეთილხმოვნად ჟღერს!

მაშ, თუ **ბუტიკი** გველოდებოდა, მაშინ **ბუტკას** რაღას ვერჩოდით?

სასტუმრო „ივერიის“ ძველ, მაგრამ ახლებურად გალამაზებულ შენობას ერთ საჩინო ადგილას ასე აწერია — **ბლუ ივერია.**

გრიგოლ ორბელიანი ერთ ლექსში მწუხარებით კითხულობს: „ნუთუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?!“

მეცა ვკითხულობ:

ამდენი სისხლის, ოფლის, ცრემლის ნთხევის შემდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მიღწევის შემდეგ, „ნუთუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?!“

დიახ, ესლა „დაგვშთა“ — **ბლუ ივერია.**

მოდი და ნუ გაგეცინება!

თუმცა რას გაიცინებ, როცა დასტურ იცი, სატირლადა გვაქვს საქმე.

ვინ გვაიძულებს, ამგვარ რასმე რომ უკუვლმერთობთ?

არავინ.

საფლავს თვითონვე ვითხრით.

ვინ აიძულებს ზოგიერთ მწერალს, მათ შორის ცნობილებსაც (მაგ. გურამ დოჩანაშვილსძ, დაანგრიოს ქართული ენის სინტაქსი, დაანაგვიანოს სიტყვიერი მარაგი, მოშალოს ზეპურ გრამატიკოსთა მიერ დადგენილი პუნქტუაციური ნორმები?

არავინ.

და მაინც ენობრივ (ესე იგი ეროვნულძ სისაძაგლეებს ჩავდივართ.

ენობრივ ტერიტორიებსაც რუსი გვართმევს?!

გურიაში ერთი „გლახა“ ანდაზაა გავრცელებული — „გლახა კვიცი დედას ახტებოდაო“.

ასეა, ამჟამინდელ ვითარებაში დიდი ძალა და ავალა ეძლევა ახალ აფორიზმს:

**რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს!**

# ერთი დღე „პროფილაქტიკაში“

**ავტომანქანის შემკეთებელ დაწესებულებას, ჩვეულებრივ „პროფილაქტიკას“ ეძახიან.**

კარგი იქნებოდა, თავის დროზე გვემამაცა და ამ უშნო, ჰოკეის მეკარესავით უგერგილო სიტყვის ნაცვლად **ავტოშეკეთება** ანდა **ავტოტექნიკური სამსახური (მომსახურება),** ან რაიმე ამგვარი დაგვემკვიდრებინა.

ახლა კი ყველაფერი დაგვიანებულია.

ანტიენობრივი ჯინი ბოთლიდან ამოშვებულია.

ერთი სიტყვით, „პროფილაქტიკაში“ ადამიანს ხშირად უხდება შევლა.

ჩვეულებრივ მას ერთი სადარდელი აწუხებს: როგორმე იაფად და სწრაფად შეაკეთოს ან შეცვალოს დაზიანებული ნაწილი.

ამას წინათ მთელი დღე იქ გავატარე და „ორგემაგე“ საწუხარმა შემაწუხა. ერთია ის, რაც დაზიანებული მანქანის ნებისმიერ მძღოლს აჭმუნვებს და მეორე სულ სხვა რამ — გული შემიწუხა იმ აბრებმა, ფირნიშნებმა და წარწერებმა, თვალს რომ უშნოდ შემოეფეთა.

აი, ისინიც: „ხადავიკი“, „რულის კოლონკის ოსტატი“, „ელექტრიკი“, „სიდენიების მასტერი“, „სტეკლოს ჩაყენება“, „სტეკლოების დაბურვა კლიონკებით“, „რაზვალის გასწორება“, „აკუმულატორჩიკი“, და მრავალი ამგვარი.

არადა ყველა მათგანის ქართულად გამოთქმა და გამოხატვა შეიძლება.

საამისოდ რა არის საჭირო?

საჭიროა შესაბამის ორგანოებს დაევალოს ამ საქმის მოწესრიგება.

საამისოდ კი რაღაა საჭირო?

მთავრობის ნება. ის უნდა აიძულებდეს მეწარმეს, ამგვარი დაწესებულებებისა და სადგურების მეპატრონეებს, ეროვნულ ენაზე გამართულად შედგენილი ფირნიშნები და ცალკეული წარ-



წერები გამოაკრას (გამოფინოსძ, ხოლო კანონის დამრღვევთ ისეთივე ჯარიმა უნდა გადაახდევინონ, როგორც მანქანით მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს.

ამგვარი კანონი ორმაგად მომგებიანია: ჯერ ერთი, ხელს შეუწყობს მშობლიური ენის მიმართ პატივისცემის გრძნობის გაძლიერებას, ამ მხრივ პასუხისმგებლობის ამაღლებას; მეორეც, სახელმწიფოს სალაროში გარკვეული თანხა შევა.

ჯარიმებს გამოდევნებულმა და დახარბებულმა ჩვენმა „ეროვნულმა“ მთავრობამ, იქნებ, ეს მაცდუნებელი წინადადება მაინც გაითვალისწინოს.

### ჭადრაკი

# კვარტეტი ტრიოდ იქცა

**გასულ უქმეებზე თურქულ ანტაკიაში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით. შეჯიბრებაში პლანეტის 64 უძლიერესი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება, მათ შორის ოთხი — საქართველოდან. თითოეულ რაუნდში, გარდა ფინალისა, ორ-ორი კლასიკური პარტია გათამაშდა. თუ ისინი გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, ტაიბრეიკები დაინიშნება. გადამწყვეტი პაექრობებისას მეტოქეები ოთხჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.**



ასპარეზობის სტარტზე შესანიშნავად ითამაშა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ, რომელმაც, ავადმყოფობის მიუხედავად, იოლად სძლია (2:0) ინდოელ მენაკში სუბარამანს და მეორე წრეში ჩინელ ჟაო სიუს შეხვდება. ამ უკანასკნელმა ეკვადორელ მარტა ფიეროს აჯობა.

ძალების დაუძაბავად გაიმარჯვა (2:0) ნანა ძაგნიძემაც, რომელსაც კანადელი დინა კაგრამანოვა მეტოქეობდა. კარგად ითამაშა სოფიკო ხუხაშვილმაც. მართალია, რუსეთის თასის მფლობელ ირინა ტუროვას იგი თეთრი ფიგურებით დაუზავდა, მაგრამ შავებით დაჯაბნა ჩრდილოელი მეზობელი და დღეს მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს ალექსანდრა კოსტენიუკთან (რუსეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

სამწუხაროდ, მაია ლომინეიშვილმა ვერაფერი გააწყო ამერიკის ჩემპიონ ანა ზატონსკიხთან და ორივე კლასიკური პარტია წააგო.

სამ ჩვენებურთან ერთად მომდევნო ეტაპზე გავიდნენ კოსტენიუკი, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), კატერინა ლახნო (უკრაინა), ჰოუ იფანი (ჩინეთი), ანა მუზიჩუკი (სლოვენია) და სხვები. ჩემპიონატის მეორე რაუნდიდან ორთაბრძოლები უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ნანა ძაგნიძისა (მარჯვნივ) და დინა კაგრამანოვას შეხვედრის მომენტი.**

### ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურში გატანილი 9 ბურთიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორი ტოპ-კლასისა იყო. თუ თბილისის „დინამოს“ ვეტერან დავით მუჯირისგან გულშემატკივარი განებივრებულია ულამაზესი გოლებით, ქუთაისის ტორპედოელ თენგიზ ჩიკვილაძის ზუსტმა შორეულმა გასროლამ სასიამოვნოდ გაგვაკვირვა. აღსანიშნავია, რომ ორივე დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა, თანაც რიონისპირელთა მარცხენაფლანგელმა საწადელს მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მიაღწია.**



„ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 0:1, „ტორპედო“ — „ცხინვალი“ 1:0, „ზესტაფონი“ — „სიონი“ 4:0 (დვალი — 2, წინამძღვრიშვილი — 2), „სამტრედია“ — „ოლიმპი“ 1:1 (ქებაძე; რაზმაძე), „კოლხეთი“ — „ბაია“ 1:0 (მეგრელიშვილი).

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“, „ოლიმპი“ — 34-34, „დინამო“ — 32, „ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“ — 22-22, „სიონი“ — 21, „ბაია“, „სამტრედია“, „კოლხეთი“ — 19-19, „ცხინვალი“ — 13 ქულა.

* * *

**იტალია.** „მილანი“ — „ბრეშია“ 3:0, „კატანია“ — „იუვენტუსი“ 1:3, „ლაციო“ — „ინტერი“ 3:1, „კიევო“ — „რომა“ 2:2.

**ესპანეთი.** „ოსასუნა“ — „ბარსელონა“ 0:3, „რეალი“ — „ვალენსია“ 2:0, „ვილიარეალი“ — „სევილია“ 1:0, „ესპანიოლი“ — „ხიხონი“ 1:0.

**ინგლისი.** „არსენალი“ — „ფულჰემი“ 2:1, „ჩელსი“ — „ევერტონი“ 1:1, „სიტი“ — „ბოლტონი“ 1:0, „ბირმინგემი“ — „ტოტენჰემი“ 1:1.

**გერმანია.** „ნიურნბერგი“ — „ბორუსია“ 0:2, „შალკე“ — „ბაიერნი“ 2:0, „აინტრახტი“ — „მაინცი“ 2:1, „ვოლფსბურგი“ — „ვერდერი“ 0:0.

### კალათბურთი

# ბუბას ბედისწერა



**„სოხუმის“ დევნილთა კლუბის სიმბოლო წლების განმავლობაში მისი კაპიტანი ბუბა ბერიშვილი იყო. რას წარმოიდგენდა იგი, რომ ბედი ოდესმე პარტნიორთა წინააღმდეგ აიძულებდა თამაშს, მაგრამ სუპერლიგის მორიგ ტურში სწორედ ასე მოხდა — ბერიშვილი მიმდინარე სეზონში „ქუთაისის“ სპორტულ ღირსებას იცავს.**

მეტიც — შეხვედრის გმირი არა ზღვისპირელთათვის 28 ქულის მომტანი ლაშა ფარღალავა, არამედ ბუბა ბერიშვილი გახდა, რომელმაც 21 ქულასთან ერთად მრავალ შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი, რომლებსაც ზუსტი ტყორცნებით აგვირგვინებდნენ კვიმსაძე, ბოლქვაძე და დიდია — 91:62.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი“ — თსუ 86:100, შსს — „სასოფლო“ 100:66, „არმია“ — „სამედიცინო“ 92:73, „ენერჯი ინვესტი“ — „დინამო“ 92:64. ისვენებდა სტუ.

**სატურნირო მდგომარეობა:** შსს — 0, „არმია“ — 1 , თსუ, „ქუთაისი“, „ენერჯი ინვესტი“ — 2, „სოხუმი“ — 3, „ბათუმი“, „სამედიცინო“ — 4, „სასოფლო“ — 5, „დინამო“, სტუ — 6-6 წაგება.

**შემდეგი ტური:** „ქუთაისი“ — „სამედიცინო“ (ქუთაისში), „ენერჯი ინვესტი“ — „ბათუმი“ (რუსთავში, 16 საათზე) — 10 დეკემბერი; „არმია“ — „დინამო“ (12 საათზე), თსუ — შსს (14 საათზე), სტუ — „სოხუმი“ (16 საათზე) — 11 დეკემბერი.

**გიორგი შოთაძე**

### ევრო-2012

## სლავეკი და სლავკო უმასპინძლებენ

**ამას წინათ ვწერდით, რომ ფეხბურთში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის თილისმებად შეიქმნა ორი მხიარული ფეხბურთელის ფიგურა. თუ რა ერქმეოდათ მათ, საზოგადოებრივ აზრს, ანუ კენჭისყრას უნდა გადაეწყვიტა. დასახელდა სახელების რამდენიმე წყვილი.**

და აი, კიევში გამოცხადდა უკრაინასა და პოლონეთში გამართული კენჭისყრის შედეგები. მასში მონაწილეობა მიიღო 39 233 გულშემატკივარმა.

**კენჭისყრის შედეგები კი ასეთია:**

სლავეკი და სლავკო — 56 პროცენტი

სლიმკო და სტრიმკო — 29 პროცენტი

კალმეკი და ლადკო — 15 პროცენტი.

ასე რომ, ევრო 2012-ის თილისმები იქნებიან **სლავეკი** და **სლავკო,** — იტყობინება უეფას ოფიციალური საიტი.

როგორც ამბობენ: „თილისმები დადებითად გამოხატავენ ჩემპიონატის მიმღები ქვეყნების სახეს. ისინი ისეთივე ახალგაზრდები და ენერგიულები არიან, როგორც უკრაინა და პოლონეთი“.

სლავეკმა და სლავკომ მიიღეს ტყუპების ტრიქსისა და ფლიქსის ესტაფეტა, რომლებიც იყვნენ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის თილისმები ავსტრიასა და შვეიცარიაში.



### ჩოგბურთი

# მაშ, ასე: სერბეთი!

**დევისის თასის მფლობელთა ნუსხას სერბეთის ნაკრები შეუერთდა. ბალკანელებმა ნოვაკ ჯოკოვიჩის წინამძღოლობით ბელგრადში ფრანგებს სძლიეს — 3:2 და პირველად ავიდნენ ტახტზე.**

პირველი სათამაშო დღის შემდეგ ანგარიში 1:1 იყო და მას შემდეგ, რაც „სამფეროვნებმა“ თითქმის უიმედო წყვილთა თანრიგის ხუთსეტიანი ბრძოლა გადაარჩინეს — 3:2 0:2-ის შემდეგ, მასპინძელთა მდგომარეობა კატასტროფული გახდა — მათ ორივე დასკვნითი შეხვედრა უნდა მოეგოთ.

ამ რთული ამოცანის პირველი ნაწილი სერბთა ლიდერმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა გადაჭრა, რომელმაც, რომ იტყვიან, მუსრი გაავლო სტუმართა მთავარ იმედს გაელ მონფილსს — 6:2, 6:2, 6:4 და საერთო ანგარიში გაათანაბრა — 2:2.

მოვლენათა ასეთმა განვითარებამ რადიკალურად შეცვალა მეტოქეთა სამწვრთნელო შტაბების ტაქტიკური სქემები. ალბათ, ამის შედეგიც იყო, რომ იანკო ტიპსარევიჩისა და ჟილ სიმონის ნაცვლად ბელგრადის სპორტის სასახლის ხალიჩიან კორტზე ვიქტორ ტროიცკი და მიშელ ლოდრა გამოვიდნენ.

როგორც აღმოჩნდა, „ექს-იუგთა“ გუნდის კაპიტნის მილკო ობრადოვიჩის გადაწყვეტილება სატიტულოს ტოლფასი ყოფილა — პროფესიული ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟულმა ჯილდომ „ვერცხლის სასალათემ“ სერბეთში დაიდო ბინა.



### ინტერნეტიდან

## ლონდონს უმიზნებენ

**იტალიის ქალაქ მონცაში გაიმართა ფრენბურთში ევროპის ქალთა პირველობის კენჭისყრა. მას მომავალი წლის შემოდგომაზე იტალიისა და სერბეთის რამდენიმე ქალაქი უმასპინძლებს.**



კენჭისყრის შედეგების მიხედვით გუნდები ასე განაწილდნენ: **ჯგუფი A** — სერბეთი, გერმანია, უკრაინა, საფრანგეთი, **ჯგუფი B** — იტალია, თურქეთი, აზერბაიჯანი, ხორვატეთი, **ჯგუფი C** — პოლონეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ისრაელი, **ჯგუფი D** — რუსეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, ჰოლანდია. შეხვედრები გაიმართება სექტემბრის მეორე ნახევარში. ყოველი კვარტეტის გამარჯვებული პირდაპირ გავა მეოთხედფინალში, მეორე-მესამე ადგილებზე გასულები კი პლეიოფში გაითამაშებენ დამატებით საგზურებს.

2011 წლის ევროპის ჩემპიონატის დაწყება დაგეგმილია 2 ოქტომბრისთვის.

კონტინენტური პირველობის მხოლოდ ფინალისტები გაინაღდებენ 2012 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას.

## სემენოვიჩი სჯობია კურნიკოვას

**ბოლო ხანებში ხშირად აკრიტიკებენ ფიგურულ მოციგურავეს, მსახიობსა და რუბრიკის „20 სტრიქონი სპორტზე“ მუდმივ გმირს ანა სემენოვიჩს.** ამბობენ, რომ ის გასუქდა, წონაში მოიმატა და უკვე აღარ ყვავის. და, მაინც, მამაკაცთა ჟურნალმა Maxim რუსეთში ყველაზე სექსუალური ქალები რომ დაასახელა, ანა კენჭისყრის მიხედვით უფრო წინ აღმოჩნდა, ვიდრე ბევრი აღიარებული სექს-სიმბოლო, მათ შორის ანა კურნიკოვა.



ყოფილი ჩოგბურთელი ლამაზმანი ანა ამ თავისებურ რეიტინგში მე-60 ადგილზეა, ყოფილი ფიგურული მოციგურავე კი — 35-ზე!

კონკურსში გამარჯვებული აღმოჩნდა სერიალის „ინტერნები“ მონაწილე მსახიობი ქალი კრისტინა ასმუსი, რომელმაც „დაჯაბნა“ ჟურნალების ყდების ვარსკვლავები ვიქტორია ბონია, ანა სუდაკოვა, ვერა ბრეჟნევა და ბევრი სხვა.

სულთათანა

# გამოთხოვება მიშა ოსაძესთან

მძიმე დროში ვცხოვრობთ. საქართველოში აღარც სიკვდილის შიშია და აღარც მოკრძალება. თითქოს „შევეჩვიეთ" მის ხშირ „სტუმრობას". ბევრი წავიდა ოჯახის წევრებიდან, სამეგობროდან, მშობლიური სოფლიდან თუ ქალაქიდან, წავიდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ დატოვეს სახელი, ხსოვნა, რომელიც მუდმივად სატარებელია და სახსოვარია ჩვენთვის.

ამ ფონზე თითქოს აღარაფერი შეძრავდა ადამიანების გულს, მაგრამ სულ სხვა განცდა და ტკივილია ახლა ჩვენს სამეგობროში. ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენმა მიშამ, ჩვენმა მიხეილ ოსაძემ ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრება დაასრულა. წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი ძმობის და თანადგომის უნარი. მიშა შეუდარებელი იყო. მას ისე არავინ იცნობდა, როგორც ჩვენ. მიშა არ იყო ჩვეულებრივი, სტანდარტული ადამიანი და ეს საქართველოს საზოგადოებრიობის უდიდესმა ნაწილმა იცოდა.



სახელი და გვარი, მიხეილ ოსაძე, ბევრ რამეს იტევდა.

მიხეილ ოსაძე... ნიშნავდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც არასოდეს გამოდევნებია ფუფუნებას და რომელსაც არაკანონიერი გზით არ უვლია.

მიხეილ ოსაძე... ნიშნავდა აქტიურ, პრინციპულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დეპუტატს, სამართლის დოქტორს, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის პატივსაცემ პიროვნებას, გენერალს, რომელსაც ჩინზე მეტი ღირსება და თავმოყვარეობა ჰქონდა, რის გამოც არაერთხელ მდგარა სიკვდილ-სიცოცხლის გზა-გასაყარზე.

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, მიხეილ ოსაძის სახელი ყოველთვის დაუკავშირდება საპარლამენტო ცხოვრებაში საგამოძიებო კომისიის მუშაობის საწყის ეტაპებს. მან შეძლო დროებითი საგამოძიებო კომისია „მუდმივად" ექცია ორი მოწვევის პარლამენტში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, „ოსაძის კომისიისადმი" უდიდესი ნდობა ბევრად განაპირობებდა თვით პარლამენტის მაღალ ავტორიტეტს.

სპეციფიკური სამსახურის გამო მიხეილ ოსაძე არასოდეს ყოფილა „გაშლილი", მაგრამ მეგობრობაში ის ბავშვივით სუფთა და გულწრფელი იყო, ის ჩვენი მიშა იყო, კაცი, რომელსაც ბევრჯერ ატკინეს გული დაუმსახურებლად, მაგრამ ყოველთვის დარჩა ადამიანად! არ გაბოროტებულა, სამაგიერო არავისთვის გადაუხდია მაშინაც კი, როცა ამის შესაძლებლობები ხელთ ჰქონდა. როცა შეეკითხებოდი რაიმე განსაკუთრებულზე, აუცილებლად იტყოდა: „ამაზე ისტორია დუმს"...

როცა რაიმე უჭირდა და ჩაეძიებოდი, თავზე არ შემოგახვევდა თავის დარდს, არ დაგძაბავდა, „უბრალოდ" გეტყოდა: „ყველაფერი კარგად იქნება".

მიშა ერთგული კაცი იყო!

ერთგული მშობლებთან, დებთან, მეუღლესთან, სამსახურთან, ხალხთან... ურთგულესი — მეგობრებთან!

მიშა იმაზე უკეთესი იყო, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. გარეგნული სიმკაცრის მიღმა იმალებოდა კაცის სამყარო, რომელიც გაოცებდა თავისი ალალობით.

„სიზმარი, რომელიც არ მავიწყდება და ახლაც მახსოვს, მანანა ჟღენტიაო", პრესას გაუმხილა.

არ ტყუოდა! 37 წელი ერთად იცხოვრეს მიშამ და მანანამ. მეგობრებმა ვიცით, რაც თქვა, გულწრფელად თქვა, ეს სიკვდილის წინ დადასტურდა კიდეც.

ოპერაციის შემდგომ ნარკოზიდან გამოსულს ექიმმა ჰკითხა სახლის ტელეფონის ნომერი. მან უპასუხა... მანანასაც კი გაუკვირდა, მიშამ თქვა ტელეფონის ის ნომერი, პირველად რომ დაურეკა მანანას სახლში... ვერ მიხვდით? ის ნომერი ჩემი ცხოვრებისთვის საუკეთესოაო.

საოცრება იყო დებისადმი მისი დამოკიდებულება. მიშა მათთვის ყველაფერი იყო. უბრალო სევდასაც ამჩნევდა მათ თვალებში და მთლიანად იხარჯებოდა, რომ ეს სევდა სიხარულად შეცვლილიყო.

4 დეკემბერს, განთიადისას ჩვენი მეგობრის, ჩვენი მიშას, ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდა.

ბედნიერი ყოფილა... ყველაზე ადრე დაინახა თავისი ბედისწერის დღე და იმდენი ითმინა, სანამ თავისი ბოლო სიტყვა არ შეასრულა.

ოპერაციის წინ ხუმრობდა, თუ საავადმყოფოდან ვერ გამოვედი, იცოდეთ, სასუფეველში თვით ღვთისმშობელი წამიყვანსო... ნათქვამი ხუმრობად ჩავთვალეთ... მაგრამ?

მიშას უყვარდა ცნობილი ადამიანების საინტერესო გამონათქვამების მოხმობა. არც ამ დროს დაარღვია ტრადიცია. „მე არ მითქვამს, წმინდა ამბროსი ოპტელმა ბრძანაო"...

„ღვთის სასუფეველში მართალნი პეტრე მოციქულს შეჰყავს, ხოლო ცოდვილნი — თვით „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსო".

„მძიმე და რთული ცხოვრებით ვიცხოვრე, არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ იყო, ცოდვილი ვარ, ისევე როგორც სხვა მრავალი და ვიცი, ღვთისმშობელი არ დამტოვებსო"...

არ ვიცით, შესაძლოა ამ აღიარების, გულწრფელობის გამო „წარუძღვა" ღვთისმშობელი ჩვენს მიშას ღვთის სასუფეველში.

4 დეკემბერს, მიშას ამქვეყნიური ცხოვრების დასრულების დღეს, მთელ ქრისტიანულ სამყაროში ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული იყო.

უცნაურია! ამ კურთხეულ დღეს „განგებულებისა ღვთისა დასაბამი არს და საუკუნითგან საიდუმლოსა მას აღსრულებისა დაწყება" ხდება.

„საიდუმლოსა მას აღსრულებაა", როცა ჩვენი მიშას გარდაცვალების დღე 4 დეკემბერს, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული, მისი დაბადების დღედ იქცა ახალ სამყაროში.

ეს შემთხვევით არ ხდება. მას ყოველთვის შეეძლო თამამად გაესწორებინა თვალი ადამიანებისთვის.

ის მართალი იყო საკუთარ თავთან, ოჯახთან, ხალხთან, საყვარელ ქვეყანასთან და სამეგობროსთან.

ძნელია ასეთ ადამიანთან გამოთხოვება, მაგრამ უფრო დიდია უფლის ძალა და ნება!

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო...

მეგობრები

2010 წლის 6 დეკემბერი.

# მიხეილ ოსაძე



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა მიხეილ ოსაძე, შეწყდა გულისცემა კაცისა, რომელიც ღია იყო ყველასთვის.

„ყველაფერი კარგად იქნება" — ასეთი ოპტიმიზმით შესცქეროდა იგი ქვეყნის ბედს და ერთი წუთითაც არ უცდია შესვენება, გვერდზე გადგომა, თავად იხარჯებოდა უკეთესი დღეების შექმნისა და ცხოვრების გალამაზებისათვის.

1943 წლის 23 მარტს ხაშურის რაიონის სოფელ სატივეში, უბრალო, მშრომელ ოჯახში დაბადებულმა ყმაწვილმა შექმნა ბიოგრაფია, რომელიც არა მარტო ნაწილია ჩვენი ისტორიისა, არამედ თავადაა ისტორია. რკინიგზელის ოჯახურ ტრადიციას არ უღალატა, დაამთავრა ქ. თბილისის ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1967 წ.წ, იყო „კავგიპროტრანსის" ინჟინერი (1968 წ.წ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე (1969-1992 წწ.წ. მათ შორის თავმჯდომარის მოადგილე, შს მინისტრის პირველი მოადგილე (1992-1993 წწ.წ, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი (1995-2003 წწ.წ, პარლამენტში უშიშროების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის წევრი, ცალკეული თანამდებობის პირების ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც საქვეყნოდ ცნობილი და გახმაურებული საკითხების განხილვისა და მისი თავმჯდომარის უზადო რეპუტაციის გამო დღესაც მოიხსენიებენ, როგორც „მიხეილ ოსაძის კომისიად".

მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზას" რეჟიმის დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილედ (2005 წ.წ, 2005 წლიდან დღემდე იყო ჯერ საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის, შემდგომ უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯის და სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი.

დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საერთაშორისო კონფლიქტებში ძალის გამოუყენებლობის მეთოდოლოგიური, კონცეპტუალური და სამართლებრივი საფუძვლები". იყო ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. მისი ცხოვრების შთამბეჭდავი ისტორია აღწერა ჟურნალისტმა მაყვალა ბერიანიძემ მონოგრაფიულ წიგნში „ნაცნობი გენერლის უცნობი სამყარო" (2008 წ.წ.

წოდებით გენერალ-მაიორი, არავის უნახავს მუნდირში. გონებას, ნიჭიერებას, შინაგან სიწმინდეს, სულიერებას, პროფესიონალიზმს და უბრალოებას ანიჭებდა უპირატესობას, თავად იძლეოდა ამის მაგალითს, მის სიტყვასა და საქმიანობას პატივს სცემდნენ ხელისუფლების, შემოქმედებით, სამეცნიერო და სამედიცინო ინტელიგენციის წრეებში. უდიდეს სიყვარულს და სულიერებას გამოხატავდა დედა ეკლესიის წინამძღოლთა მიმართ. მაგალითი იყო სტუდენტებისთვის, სამართლიანი, მომთხოვნი და ბედის თანაზიარი — თანამშრომლებისადმი.

დაუღალავი შრომით, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების გონივრულად გააზრებით, შექმნა მყარი მატერიალური და ინტელექტუალური საფუძველი ტექნიკური განათლების მქონე პროფესიული კადრების მოსამზადებლად.

მისმა მოულოდნელმა ზეციურმა ამაღლებამ გაოგნებულნი დატოვა პედაგოგიური კოლექტივი, მეგობრები, ოჯახი. მიხეილ ოსაძე, რომელსაც მაგალითად ჰქონდა დასახული: „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მევალისათვის მიმატანინე ვალი"... ისე დაგვშორდა, რომ ვერავინ დავალევინეთ წყალი. იქნებ, შენი დაწყებული საქმის ღირსეულად გაგრძელებით, გადაგვახდევინო ეს უკანასკნელი ვალი...

„სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის"
ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალი.

---

მეუღლე მანანა ჟღენტი, შვილები ანუკა, მანჩო, დები ლუიზა, მანანა ოსაძეები, ცოლისძმა ამირან ჟღენტი, დისწულები ნინო, ნიკა თომაძეები, თაკო, დათუნა კვერნაძეები, რძლები მზისო მცხვეთაძე, თათა ქათამაძე, სიძეები ირაკლი ჩხეიძე, გიორგი ჭანიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან



მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 XII, 16 სთ. მისამართი: საბურთალო, კუტუზოვის I კორპუსი, II სადარბაზო, VII სართული. გამოსვენება 9 XII, 14 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, თენგიზ კალანდაძე, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ვილენ მარდალეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი რედაქციის დიდი მეგობარი, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით გამორჩეული პიროვნება, ცნობილი მოღვაწე და მოქალაქე

მიხეილ ოსაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

თენგიზ და ქეთინო ქავთარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მიხეილ ვასილის ძე ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მედეა და ელიზბარ ლომინაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი

მიხეილ ოსაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვანო ყულჯანიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი

მიხეილ ოსაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დემურ გადელია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ კალანდაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ვახტანგ კიკნაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

რომან ღვინიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

მიხეილ ოსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საზოგადოება „კუს ტბის" წევრები მწუხარებას გამოთქვამენ ამავე საზოგადოების წევრის

მიშა ოსაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დალი, პეტრე შვილებით, ნანა, შალვა ბერაიები მწუხარებას გამოთქვამენ

მიშა ოსაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ციცინო, მელორ ტყეშელაშვილები შვილებით მწუხარებას გამოთქვამენ

მიშა ოსაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ეთნოლოგი, სახელოვანი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ვახტანგ შამილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეთნოლოგი, ჩვენი გაზეთის აქტიური ავტორი, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი პიროვნება და მეგობარი

ვახტანგ შამილაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.




გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.

## ⊙ კარაბადინი

### ასვლა მილიონზე

**ამერიკელმა ალპინისტმა ალან არნეტმა დაიწყო მსოფლიოს შვიდ ყველაზე მაღალ მთაზე ასვლის კამპანია, რათა შეაგროვოს ერთი მილიონი დოლარი ალცჰეიმერის დაავადების გამოკვლევისთვის.**

ალან არნეტი კარგად იცნობს ამ ავადმყოფობას: 2009 წელს ამ დაავადებისგან მას დედა გარდაეცვალა. რომ უზრუნველყო სათანადო მოვლა დედისთვის, ალანი იძულებული იყო სამუშაო დაეტოვებინა.

ალცჰეიმერის ავადმყოფობით მსოფლიოში 25 მილიონზე მეტი კაცი იტანჯება. პაციენტები კარგავენ უნარს დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებანი, მოემსახურონ საკუთარ თავს, ერღვევათ მეხსიერება. როგორც წესი, ზრუნვა ასეთი ავადმყოფებისთვის ეკისრებათ მათი ოჯახის წევრებს: მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში 10,9 მილიონი „ძიძაა“, რომლებსაც არ უნაზღაურებენ. მათ მარტო შარშან ავადმყოფების მოვლისთვის დახარჯეს 12,5 მილიარდი საათი. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ალცჰეიმერით დაავადებული ხალხის პირდაპირი და ირიბი მოვლისთვის ყოველწლიურად იხარჯება 100 მილიარდ დოლარზე მეტი. მსოფლიო ეკონომიკის ზარალი კი 600 მილიარდი დოლარით განისაზღვრება.

## ⊙ დღის კალენდარი — 7 დეკემბერი

დიდმოწამისა ეკატერინე ყოვლადბრძენისა, ალექსანდრიელისა (305-313ძ; დიდმოწამისა მერკურისა (IIIძ; მოწამეთა ავგუსტასი – აგვისტა დედოფლისა, პორფირი სტრატილატისა და 200-თა მხედართა (305-313ძ; ღირსისა მასტრიდია ქალწულისა; ღირსისა სიმონ სოიგინელისა (1562ძ.



ამოდის 07.14
ჩადის 16.30



ამოდის 08.44
ჩადის 18.05

### დაიბადნენ:

**1542 – მარიამ სტიუარტი,** შოტლანდიის დედოფალი, თავი მოჰკვეთეს 1589 წელს.
**1598 – ლორენცო ბერნინი,** იტალიელი მოქანდაკე და არქიტექტორი, გარდაიცვალა 1680 წელს.
**1789 – მარია ვალევსკაია,** საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტეს „პოლონელი მეუღლე“, გარდაიცვალა 1817 წელს.
**1888 – ჯოის კერი,** ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1957 წელს.
**1889 – გაბრიელ ონორე მარსელი,** ფრანგი ფილოსოფოსი, დრამატურგი და კრიტიკოსი, ლიტერატურის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1973 წელს.
**1801 – იოჰან ნეპომუკ ნესტროი,** გამოჩენილი ავსტრიელი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, გარდაიცვალა 1862 წელს.
**1905 – ჯერარდ პეტერ კოიპერი,** ამერიკელი ასტრონომი. აღმოაჩინა ურანის მეხუთე თანამგზავრი – მირანდა და ნეპტუნის მეორე თანამგზავრი – ნერეიდა, გარდაიცვალა 1973 წელს.
**1914 – სპარტაკ ბაღაშვილი,** ცნობილი ქართველი მსახიობი, გარდაიცვალა 1977 წელს.
**1929 – კონსტანტინე (კოკიძ მახარაძე,** ქართველი ფერმწერი.
**1939 – როინ მეტრეველი,** ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

**43 (ძვ. წ.ძ – მარკუს ტულიუს ციცერონი,** რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი.
**1881 – იულიუს ბანზენი,** გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი.
**1894 – ფერდინანდ მარი ლესეფსი,** ფრანგი დიპლომატი, მეწარმე.
**1912 – ჯორჯ ჰოვარდ დარვინი,** ინგლისელი ასტრონომი და მათემატიკოსი.
**1930 – პარიზში მოკლეს ნოე რამიშვილი,** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი.

### მოვლენები:

**1732** – ლონდონში გაიხსნა თანამედროვე ოპერის სამეფო თეატრი.
**1787** – დელავერი აშშ-ს პირველი შტატი გახდა.
**1808** – ჯეიმს მედისონი ამერიკის პრეზიდენტად აირჩიეს, ჯორჯ კლინტონი კი ვიცე-პრეზიდენტად.
**1877** – ტომას ედისონმა მოახდინა გრამაფონის დემონსტრირება.
**1917** – ამერიკამ ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს.
**1941** – იაპონელები თავს დაესხნენ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ-ჰარბორს, რამაც გამოიწვია აშშ-ის ჩაბმა II მსოფლიო ომში.
**1968** – გაუშვეს პირველი ამერიკული კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-7“.
**1988** – ძლიერი მიწისძვრა მოხდა სომხეთში (6,9 ბალიძ. თითქმის მთლიანად დაინგრა ქალაქები სპიტაკი და ლენინაკანი და სხვა დასახლებული პუნქტები. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 28 854 ადამიანი და ათასობით დაშავდა.
**1991** – რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ლიდერების შეხვედრა ბელოვეჟის ტევრში, რაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის დაშლას.

**მედიანიუსი**

## იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვ.მ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## შევიძენ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7669 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3141 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7611 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6171 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +18 |
| ქუთაისი. | +14 – +20 |
| ბათუმი. | +15 – +24 |
| ზუგდიდი. | +14 – +22 |
| თელავი. | +5 – +16 |

## ⊙ ანეკდოტები

– რით განსხვავდება არისტოკრატია ელიტისგან? – ეკითხებიან სტუდენტს ისტორიის გამოცდაზე.

– არისტოკრატია როგორც იყო, ისევე არის უკვე ათასი წელია, ელიტა კი ყოველ სამ-ოთხ წელიწადში, ყოველი მორიგი არჩევნების შემდეგ იცვლება...

* * *

ტანდაბალი ადამიანები სხვებზე გვიან გებულობენ წვიმის მოსვლას.

* * *



– წარმოგიდგენია? გუშინ სანადიროდ მომავალს თოფის წაღება დამავიწყდა.

– ცუდია. როდის გაგახსენდა ეგ?

– სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ, როცა ცოლს კურდღელი მივუტანე...

* * *

– აი, ევროპასა და სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში ლურჯი სპეცსიგნალიანი მანქანებით, რომლებსაც ესკორტი მიაცილებს, მხოლოდ მძიმე ავადმყოფები და დამნაშავენი გადაჰყავთ!

– ჩვენთანაც ეგრე არ არის? პრინციპში ლურჯსიგნალიანი მანქანებით და თანმხლები ესკორტით მხოლოდ მძიმე ავადმყოფები და დამნაშავეები გადაჰყავთ...

## ⊙ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.